ალია
N128/3058/ 3 სექტემბერი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი — ქრონიკა; სამშაბათი — ალია; ოთხშაბათი — ალია; ხუთშაბათი — ალია; პარასკევი — ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან



## რას მოიგებს საქართველო ნატოს სამხედრო-საწვრთნელი ცენტრის შექმნით?

# ვინ ახლდა სააკაშვილს საბერძნეთში დაკავებისას და რას ასაიდუმლოებს საბერძნეთის პოლიცია



## „ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ დაშლას იწყებს?

რამდენი „ნაციონალი“ დეპუტატი აპირებს კოალიციაში გადასვლას?

## რატომ გამოუცხადეს „რესპუბლიკელებმა“ ბოიკოტი „ოცნების“ მიერ მოწვეულ საკრებულოს სხდომას?



## მარგველაშვილის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში, თენგიზ ფხალაძე მძიმე მდგომარეობაშია

რა ინფორმაციები ჟონავს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან?

## ვაკეში 30 წლის ახალგაზრდა ჩაცხრილეს



ვაკეში ბარნოვის ქუჩაზე სროლის შედეგად 30 წლის ლაშა მახარაძე დაჭრეს. ის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. მახარაძე მანქანაში ბარნოვის 48 ნომერთან ჩაცხრილეს – მას 2 ტყვია ესროლეს. გავრცელებული ინფორმაციით მახარაძე ამნისტირებულია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, მახარაძეზე თავდასხმის მიზეზი, შემთხვევამდე კონფლიქტი ან წინა დღეებში მომხდარი უთანხმოება იყო.

ლაშა მახარაძეს მეგობრები „კოშკას“ ეძახდნენ. ლაშას ძმა, თენგო მახარაძე, მისი მეუღლე, 7 წლის შვილი და ავტომანქანაში მსხდომი კიდევ ორი ადამიანი დაახლოებით ერთი წლის წინათ ავტოავარიაში დაიღუპნენ. მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით შსს-ს გუშინ კომენტარი არ გაუკეთებია. (პირველი რადიო)

## ქედაში ხანძარს მამაკაცი ემსხვერპლა



ქედის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის თემში, საცხოვრებელ სახლში გაჩენილ ხანძარს ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. დაიღუპა ოჯახის უფროსი, 50 წლის ლევან გორგაძე, რომელსაც ხანძრის დროს, სავარაუდოდ, ეძინა.

ქედის გამგებლის დავით დუმბაძის განცხადებით:

„გორგაძეების ოჯახში ხანძარი ელექტროსადენებიდან გაჩნდა. სამწუხაროდ, არის მსხვერპლი და მწუხარებას გამოვთქვამ ამ ტრაგედიის გამო. ხანძრის დროს დაიღუპა ოჯახის უფროსი ლევან გორგაძე. სახანძრო მანქანები დროულად მივიდნენ ადგილზე, მაგრამ სახლი იყო ხის და სიცხეში უცებ გამწვავდა ცეცხლი“, – აღნიშნა დუმბაძემ.

მისივე განმარტებით, დაღუპულის დაკრძალვის ხარჯებს გამგეობა გაიღებს, სახლის რეაბილიტაციაში კი, დაზარალებულ ოჯახს, მუნიციპალიტეტი დაეხმარება. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოს პატრიარქი აღმოსავლეთ უკრაინაში მშვიდობისთვის ლოცულობს



დონეცკის ეპარქიის ინფორმაციით, ამის შესახებ საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დონეცკისა და მარიუპოლის მიტროპოლიტ ილარიონს სატელეფონო საუბრისას განუცხადა.

დონეცკის ეპარქიის მიერ გავრცელებული განცხადებით, სატელეფონო საუბრისას ილია მეორე დონეცკის ეპარქიის საეკლესიო ამბებით დაინტერესდა.

„დონეცკისა და მარიუპოლის მიტროპოლიტმა ილარიონმა მის უწმინდესობას თხოვნით მიმართა, ილოცოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, რომლებიც საომარი მოქმედებებისას დაზარალდნენ. თავის მხრივ, საქართველოს პატრიარქმა დაარწმუნა მიტროპოლიტი ილარიონი ძმურ მხარდაჭერასა და დონეცკის მიწაზე მშვიდობისთვის ლოცვაში“, – ნათქვამია დონეცკის ეპარქიის განცხადებაში.

დონეცკის ეპარქიის ცნობით, სატელეფონო საუბარი 31 აგვისტოს შედგა. (ინტერპრესნიუსი)

## იპოთეკარებმა პარლამენტთან საპროტესტო აქცია გამართეს



თბილისში, პარლამენტის წინ იპოთეკარებმა საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც შეკრებილებმა განაცხადეს, ისინი მოსახლეობისთვის გრძელვადიანი სესხების გაცემას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მასობრივი აქციებით იმუქრებიან. იპოთეკარები დეპუტატებს სთხოვენ, რომ მიიღონ დადგენილება, რათა ხალხის ბინებიდან გამოსახლება შეჩერდეს.

„ჩვენ მოვუწოდეთ პარლამენტის თავმჯდომარეს და ირაკლი ღარიბაშვილს, რომ ჩვენთვის მისაღები კანონები მიიღონ და შეჩერდეს გამოსახლებები. მისცენ ხალხს გრძელვადიანი სესხები“, – განაცხადა აქციის ერთ-ერთი მონაწილემ.

## არქეოლოგიური აღმოჩენა და ღია მუზეუმი იგოეთში

ძველი წელთაღრიცხვის ნამოსახლარები, თიხის ჭურჭელი, ოქროს სამკაულები და ნივთები, რომლებსაც არქეოლოგებმა მიაკვლიეს, ქვის ხანიდან რომაული ხანის პერიოდს მოიცავს. არქეოლოგები ამ დროისთვის კვლავ განაგრძობენ მუშაობას.

გორას, სადაც ნივთები აღმოაჩინეს, რამდენიმე დღეში ისტორიული სტატუსი მიენიჭება. ტერიტორია, რომელიც 50 ჰექტარს მოიცავს, იწმინდება. აღმოჩენის ადგილი ღია მუზეუმის სტატუსსაც მიიღებს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტი უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას განიხილავს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გია ვოლსკის განცხადებით, პარლამენტი 3 სექტემბერს უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციას განიხილავს. უკრაინაში სახეზეა ღია სამხედრო აგრესია და რუსეთის მხრიდან სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა.

„პარლამენტს უკვე ორი რეზოლუცია აქვს მიღებული. შეფასებებიც გაკეთდა, თუმცა ახლა სიტუაცია შეიცვალა და ადგილი აქვს ღია სამხედრო აგრესიას. ამ რეზოლუციის პროექტით ჩვენი სათქმელი იქნება, რომ ვუცხადებთ სოლიდარობას უკრაინელ მეგობრებს და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ჰუმანიტარულ დახმარებას აღმოვუჩენთ“. – განაცხადა ვოლსკიმ. (ნიუპოსტი)

## კახელი გლეხები ყურძნის ფასს აპროტესტებენ



ყვარლის რაიონ სოფელ გავაზში, ადგილობრივი მოსახლეობა ღვინის მწარმოებელ კომპანიებს დაუპირისპირდა. დავა საფერავის ჯიშის ყურძნის ფასის ვარდნამ გამოიწვია. გლეხების თქმით, ორი დღის წინ ქინძმარაული 2 ლარი და 35 თეთრი ღირდა, ახლა კი მისი ღირებულება 1 ლარსა და 50 თეთრს არ აღემატება. საფერავის ფასი გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანშიც გააპროტესტეს. მევენახეების თქმით, საფერავის ღირებულების გამო რთველი დროებით შეჩერებულია. პრეტენზიების საპასუხოდ რთველის შტაბში განმარტავენ, რომ სახელმწიფო ფასების რეგულაციაში არ ერევა და ფასს კერძო კომპანიები თავად ადგენენ.

„რთველი მიმდინარეობს მაღალი ორგანიზებით. არანაირი შეფერხება ამ მომენტისთვის არ ფიქსირდება. არის რამდენიმე უკმაყოფილება ჩამბარებლების მხრიდან, მაგრამ ამის მიუხედავად, სახელმწიფო ვერ ჩაერევა ფასების ფორმირებაში“, – განცხადა „რთველი 2014“-ის შტაბის ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა. (ნიუპოსტი)

## ქუთაისის ციხეში პატიმარს მე-9 დღეა თვალები და პირი აქვს ამოკერილი



ქუთაისის №2 ციხეში მე-9 დღეა 23 წლის პატიმარს თვალები და პირი აქვს ამოკერილი. როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროში აცხადებენ, მსჯავრდადებული ექიმების ზედამხედველობის ქვეშ არის და მისი მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია.

როგორც უწყების პრესსამსახურმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ექიმებს არ აქვთ უფლება პატიმარს, თავისი ნებით პირიდან ნაკერები ახსნან, მას ყოველდღე აფრთხილებენ, რომ პირის ამოკერვა მისი ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

ცნობისთვის, მოშიმშილეები მათი საქმეების გადახედვას და ქალაქის №3 პოლიციის განყოფილების თანამშრომელთა პასუხისგებაში მიცემას ითხოვენ. ციხეში მოშიმშილე პატიმრების რიცხვი ამ დროისთვის 9 ადამიანს შეადგენს. (ნიუპოსტი)

## სანქციების შედეგად რუსეთის უმსხვილესმა ბანკებმა მილიარდები დაკარგეს




2014 წლის პირველი ნახევრის საფინანსო ანგარიშის თანახმად, უმსხვილესმა რუსულმა ბანკებმა მილიარდობით რუბლის ზარალი ნახეს.

მაგალითად, ბანკმა „რუსსკი სტანდარტ“-მა 4,7 მილიარდი იზარალა. ბანკმა, რომელიც ერთ-ერთი ლიდერი იყო სამომხმარებლო კრედიტების სფეროში, საერთოდ შეწყვიტა კრედიტების გაცემა.

ანალოგიურ ზარალს აჩვენებენ „**ХКФ-банк**“ – 4 მილიარდის ზარალი, „**Восточный экспресс**“ – 3,44 მილიარდი და „**ОТП-банк**“ – 1 მილიარდი.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის ეკონომიკა სტაგნაციაშია, ხოლო მშპ დიდი ხანია 0-ს გაუტოლდა. რეკორდულად ეცემა რუბლის კურსი. (ნიუპოსტი)

## ჩვენი საელჩო უკრაინელი ბავშვების საქართველოში ჩამოყვანაზე მუშაობს




საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე უკრაინელ კოლეგას პავლო კლიმკინს ტელეფონით ესაუბრა.

ფანჯიკიძემ შეშფოთება გამოთქვა ბოლო პერიოდში უკრაინაში ვითარების ესკალაციის გამო და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო გმობს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ფაქტს და მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას, რომელიც უკრაინაში კრიზისის აღმოფხვრისკენ არის მიმართული. ამასთანავე, საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ გამოხატა ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების სოლიდარობა უკრაინის მთავრობისა და მოსახლეობის მიმართ.

ფანჯიკიძემ უკრაინელ კოლეგას საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივა გააცნო, რომელიც უკრაინელი ბავშვების საქართველოში ჩამოყვანასა და დასასვენებელი-სარეაბილიტაციო კურსის გავლას ითვალისწინებს. საქართველოს საელჩოს უკვე დაწყებული აქვს ამ მიმართულებით მუშაობა. (ნიუპოსტი)

# „ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ დაშლას იწყებს?

## რამდენი „ნაციონალი“ დეპუტატი აპირებს კოალიციაში გადასვლას?

**„ალიას“ ესაუბრება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დათო ლორთქიფანიძე.**

**— დათო, შენ ამ ხელისუფლების წევრი ხარ და მინდა, პირდაპირ გითხრა: მოგადგა სარფთან მიხეილ სააკაშვილი, წაგიკითხა ვრცელი ლექცია, თუ როგორ ანგრევ ქვეყანას და დაგიბარა, ნებით თუ არ წახვალ, ძალით გაგიშვებ, ქართველ ხალხს უკვე მოვენატრეო. ამაზე რა პასუხი გაქვს?**

– კი, „ნაციონალებს“ აქვთ სერიოზული გეგმა, რომ ქვეყანაში სიტუაცია არიონ. ისინი სარგებლობენ იმით, რომ აქვთ ძალიან დიდი ფინანსები და ჩვენი ხელისუფლების მინუსი სწორედაც ეს არის, რატომ აქვთ ამ ადამიანებს ბევრი ფული? პრობლემა ის არის, რომ მაგათ ეს ფული არ შემოაქვთ, 9 წლის განმავლობაში იმდენი იშოვეს, იმდენი დააგროვეს ქვეყნის შიგნითვე, რომ შემოტანა არ სჭირდებათ. თუმცა, ალბათ, გახსოვთ, შემოტანაც სცადეს აზერბაიჯანიდან. ამათ დიდი ფული აქვთ „ქეშად“ და გარდა ამისა, ჩადეს სხვადასხვა ბიზნესებში. ვინაიდან ჩვენი ხელისუფლება ბიზნესს არ ეხება, ამითაც სარგებლობენ. ჩემი აზრით, სერიოზული ყურადღების მიქცევა ამ საკითხსაც სჭირდება. კი, ბატონო, ბიზნესის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ იქიდან ამონაგები ფული სად მიდის, სწორედ ეს არის გასაკონტროლებელი, ეს უკვე ოპერატიული სამსახურების საქმეა.

როცა სააკაშვილი ჯერ რიზეში იბარებს თავის თანაგუნდელებს, დავალებებს აძლევს და შემდეგ სარფში დიდ სპექტაკლს დგამს, ეს უკვე ძალიან საშიშია. მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვამბობ, „ნაცმოძრაობა“ არ არის პოლიტიკური ძალა, ეს არის კრიმინალური ბანდა, რომელმაც წლების განმავლობაში სული ამოხადა მოსახლეობას. ბოლო დროს საპარლამენტო კულუარებში ხშირად მესმოდა, თითქოს „ნაციონალებიდან“ დაახლოებით ათი კაცი აპირებდა წასვლას. ახლა გვარებს არ გავამხელ, შეიძლება მართლა გადადგან ეს ნაბიჯი... არის რამდენიმე ადამიანი, რომელთა გადმოსვლაც კოალიციაში ჩვენთვის პოლიტიკურად მომგებიანი არ იქნება, მაგრამ თუ ისინი „ნაცმოძრაობას“ დატოვებენ, სააკაშვილი დაზარალდება. თუმცა ვისზეც იყო ლაპარაკი, მე ისინი სარფში დავინახე, მიშასთან ისხდნენ. როდესაც ჩვენს წრეში ლაპარაკობდნენ მათ გადმოსვლაზე, ყოველთვის ვამბობდი, ესენი სააკაშვილს არ მოსცილდებიან, უბრალოდ, გვატყუებენ-მეთქი. ამაზე ჩემს მეგობრებს ყოველთვის ასეთი პასუხი აქვთ: ნუ, ახლა, შენ რატომ გგონია ასე, ეგენიც ადამიანები არიან, მომავალზე ფიქრობენ, აღარ უნდათ მიშა. როცა ეს ინტერვიუ გამოქვეყნდება, ჩემი რამდენიმე კოლეგა წაიკითხავს და მიხვდება, ვისზეა საუბარი. ამ თემაზე ძალიან უსიამოვნო საუბარი მქონდა მათთან ჯერ კიდევ ივნისში.



**— ახლა შენ ძალიან საინტერესო დეტალებს ყვები... ესე იგი, ივნისში „ნაცმოძრაობიდან“ წასვლას გეგმავდა საპარლამენტო უმცირესობის ათი წევრი?**

– კი, ეს არის რეალობა... იყო საუბრები, ისინი სინჯავდნენ ნიადაგს, კოალიციაში დადიოდნენ და რაღაც საკითხებს ათანხმებდნენ: აი, მაგალითად, რომ გადმოვიდეთ, როგორ მიგვიღებთ, რა სახის თანამშრომლობა იქნებაო? მიუხედავად ამისა, მე მაინც სკეპტიკურად ვუყურებდი ამ საკითხს. ესენი არ არიან ის ადამიანები, რომლებიც ასეთ ნაბიჯს გადადგამენ, უბრალოდ მათ სჭირდებათ დროის გაწელვა, რათა სამართალდამცავებმა დამატებითი კითხვები არ დასვან და მარყუჟმა არ მოუჭიროთ.

**— ესე იგი, „ნაცმოძრაობის“ დატოვებასა და კოალიციაში გადმობარგებას აპირებდნენ ის დეპუტატები, რომლებთანაც სამართალდამცავებს აქვთ კითხვები?**

– კი, ზოგთან არსებობს კითხვები, ზოგთან – არა, რამდენიმე დეპუტატი ნეიტრალურს იჭერს, პოლიტიკაში ახალი გამოჩენილია და თავის მომავალზე ფიქრობს, მაგრამ აგერ, საკუთარი თვალით ვნახე, ისინი მიშა სააკაშვილის პირისპირ ისხდნენ სარფში. შეიძლება მოხდეს ისე, რომ თავად მიშა გადაგეყაროს სადმე, მაგრამ როცა სარფში ჩადიხარ სპეციალურად, ეს უკვე სხვა ამბავია.

**— ამ შემთხვევაში ორი ვერსია არსებობს: პირველი, როგორც ვიცი, სააკაშვილი „ნაციონალების“ ამ ჯგუფს 29 აგვისტოს რიზეში შეხვდა და კარგადაც გადაუარა, არაფერს აკეთებთ, ბოლომდე აღარ გენდობითო. გამოდის, ამ ათი კაცის ამბავი სააკაშვილმა იცის. მეორე — არ არის გამორიცხული, რამდენიმე „ნაციონალი“ მართლაც გადმოვიდეს კოალიციაში და მერე შიგნიდან აგაფეთქონ.**

– მე არც ერთ ვერსიას არ გამოვრიცხავ. არ მომერიდება ამის თქმა: პარლამენტში „ნაციონალი“ დეპუტატების უმრავლესობა არის ავანტიურისტი. პროვოკაციებს შენი გუნდიდან მოაწყობ თუ სხვაგან გადახვალ და იქ ააფეთქებ სიტუაციას, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

**— თქვენს რიგებში, ალბათ, ბევრმა დასცა ყიჟინა, „ნაცები“ ჩვენთან გადმოდიანო, მაგრამ ესეც საშიში მოვლენაა.**

– ჩვენს რიგებში ლაპარაკობენ, მაგათი შემოყვანა კი არ გვინდა კოალიციაში, მთავარია, „ნაცმოძრაობიდან“ გამოვიყვანოთო. ჩვენი ბიჭების მხრიდან გარეგნულად კეთილშობილური განზრახვაა, მაგრამ „ნაცებს“ მოატყუებ? როგორც კი სესიები დაიწყება, მე ჩემს კოლეგებს შევახსენებ და ვკითხავ, რატომ ისხდნენ ეს ადამიანები მიშასთან ერთად მაგიდასთან?

**— პრინციპში, იქ იყო გიორგი ვაშაძე, გიორგი ღვინიაშვილი, სერგო რატიანი.**

– მე არ დავასახელებ, შეიძლება კიდევ აქვთ „ნაცმოძრაობიდან“ წამოსვლის სურვილი და ხელს არ შევუშლი. რა გეგმაც დღეს მათ აქვთ, რა დირექტივებიც სააკაშვილისგან მიიღეს, ეს ძალიან საშიშია, თავად სააკაშვილი უკვე იქცა პოლიტიკურ-ავანტიურისტულ ცხოველად და საჭიროა მისი შეჩერება. დაუკვირდი, როგორი განცხადება გააკეთა სარფში: მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ საქართველოში ასე არ უნდა ექცეოდნენ პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრს. მან ოსტატურად ჩაავლო და დისტანცირებას ახდენს მარგველაშვილთან მიმართებაში, ასევე ალასანიასთან მიმართებაში, იცის, რომ მარგველაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის რაღაც მოხდა. მე არ ვიცი, დღეს მარგველაშვილსა და ბატონ ბიძინას როგორი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ რაც ტელევიზიით ითქვა, ეს ხომ სააკაშვილმა მშვენივრად იცის და ცდილობს, ამ მხრივ განწყობა კიდევ უფრო დაძაბოს კოალიციის შიგნით. ჩვენ ხალხს ვერ მოვთხოვთ, რომ ყველაფერი ახსოვდეს, ჩვენ უნდა შევახსენოთ, რამდენი დანაშაული ჩაიდინა მიხეილ სააკაშვილმა და რას აპირებს. ხელისუფლებას მართებს სიფრთხილე, დღედაღამ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ არაფერი გამოგვეპაროს.

**— ამ გახმაურებულ მკვლელობებზე პერიოდულად ლაპარაკი იწყება, რაღაც ინფორმაციას გამოაგდებენ და მერე ყველაფერი ჩერდება. ხალხს უკვე გაუჩნდა იმის შეგრძნება, რომ ესენი არაფერსაც არ გამოიძიებენ და არც სააკაშვილს დაიჭერენ. ბოლოს და ბოლოს, ერთი საქმე მაინც ვერ უნდა დაამთავრონ. რას ამბობენ ამაზე კოალიციაში?**

– სამწუხაროდ, ასეა... ძალიან ბევრი საქმეა და ამ ყველაფერს უნდა დაესვას წერტილი. ამას რეაგირება უნდა, რაღაც საინფორმაციო მანქანა უნდა მუშაობდეს, ასევე, სამართლებრივი მანქანა, რომელიც ყველა შეკითხვაზე გასცემს პასუხს. საქმე იწყება, მერე რაღაც ეტაპზე ჩერდება და ბოლომდე ვერც ერთი ვერ გადის. უყურებს ამას საზოგადოება და იქმნება განწყობა. იგივე მიშასთან დაკავშირებით, ჯერ შიდა ძებნა გამოცხადდა, ახლა საერთაშორისო ძებნაზე მიდის ლაპარაკი. ბევრს ჰგონია, რომ ხვალ წითელ ცირკულარში ჩასვამენ და ზეგ რომელიმე ქვეყნიდან ჩამოიყვანენ. ეს ურთულესი პროცედურაა, რომელიმე ქვეყანაში სააკაშვილი რომც დააკავონ, მერე მისი ბრალეულობა უნდა დაამტკიცო. ჩვენ ვნახეთ, რაც მოხდა კეზერაშვილის შემთხვევაში. ყველაფერი იდეალურად რომც წარიმართოს, ამას თვეები სჭირდება, თუ წლები არა. აი, ესეც არ იცის ხალხმა, საჭიროა ახსნა, რომ საქმე არ გვაქვს იოლ პროცედურასთან.

**— აგერ, დათა ახალაია ვერ ჩამოუყვანიათ საბერძნეთიდან.**

– ჰოდა, მაგას გეუბნები, ძალიან ბევრი ამბობს, რომ დეკემბრის ათამდე მიშა იქნება ქართულ ციხეში. კი, ბატონო, ძალიან კარგია, როცა სახელმწიფო მზაობას გამოთქვამს ყველა დამნაშავის დასასჯელად, მაგრამ ვიმეორებ, საზოგადოებას უნდა ავუხსნათ ყველაფერი დეტალურად. დღეს ჩვენი ხელისუფლების კულუარული განწყობა დაახლოებით ასეთია: „ნაციონალების“ ყავლი უკვე გასულია, მინავლებულია. მე კიდევ არ მგონია, რომ ეს ასეა. როცა ქვეყანაში მაინც არასტაბილურობის განცდაა, როცა სააკაშვილი ათასნაირ პროვოკაციას გეგმავს, რანაირად უნდა ვთქვათ, რომ „ნაცმოძრაობას“ ყავლი გაუვიდა? თუ ვართ სახელმწიფო, თუ გვყავს სპეცსამსახურები, მაშინ მთელი ყურადღება უნდა გადავიტანოთ ქვეყნის სტაბილურობაზე. ვინც იქცევა ქვეყნის უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ, ყველა უნდა დაისაჯოს და იქნას მხილებული.

**რედაქციისგან: რამდენად რეალურია დავით ლორთქიფანიძის წყაროს ინფორმაცია „ნაციონალი“ დეპუტატების „ოცნებაში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე კი, პოლიტიკაში მსგავსი ხმები იშვიათი არ არის. ჯერ ერთი, ამ დროს ადვილი შესამჩნევი ხდება, რა მოძრაობები იწყება მოწინააღმდეგის ბანაკში და მეორე — მსგავსი ხმების გავრცელებას, უმეტესად, გუნდში ერთმანეთის მიმართ ეჭვიანობა და განხეთქილება მოსდევს ხოლმე. დაველოდოთ, რა მოხდება ამ შემთხვევაში.**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „უახლოეს დღეებში რუსეთი უკრაინაში ავიაციასაც შეიყვანს“



რუსი ექსპერტის ანდრეი ილარიონოვის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები საკმარისი არ არის და საერთაშორისო საზოგადოებამ მის აგრესიას აგრესიითვე უნდა უპასუხოს.

„უკრაინის კრიზისი გამოწვეულია რუსეთის აგრესიით, ახლა ფართომასშტაბიანი ომი სწორედ უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარეობს, ბოლო ექვსი თვეა აქტიური ფაზა, ე.წ. ჰიბრიდული ფორმატით გრძელდება, დღეს კი სახეზეა რუსეთის შეიარაღებული ძალების ღია ინტერვენცია უკრაინის ტერიტორიაზე. უკრაინის უშიშროების სამსახურის ინფორმაციით, ამ დროისთვის უკრაინის ტერიტორიაზე მყოფი რუსი სამხედროების რიცხვი 15 ათასს შეადგენს. ამას ემატება ტანკები და არტილერია. ის ფაქტი, რომ სეპარატისტებმა დაიკავეს დონეცკისა და ლუგანსკის აეროპორტები, იმას ნიშნავს, რომ ხვალ-ზეგ მათ უკვე ავიაციაც ეყოლებათ“, – განაცხადა ექსპერტმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსეთი ირწმუნება, რომ აშშ მის საზღვრებთან სამხედრო მობილიზაციას იწყებს



ამერიკის შეერთებული შტატები გეგმავს ნატო-ს სამხედრო ბაზის გაძლიერებაში დახმარებას და შესაბამისად, ბალტიისპირეთში პოზიციების განმტკიცებას. ასევე, აშშ აპირებს სამხედრო ძალების, მძიმე ტექნიკის, ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების გადასროლას ესტონეთში, ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების საბჭოს მდივანი მიხაილ პოპოვი ავრცელებს.

მისი განცხადებით, უელსის სამიტზე, განიხილავს ნატო-ს სამხედრო ძალების სამხედრო მზადყოფნის საკითხს და ასევე, აღმოსავლეთ ევროპაში ალიანსის ახალი სამხედრო ბაზების შექმნასაც შეეხება, რომლის შესახებაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ისაუბრა.

პოპოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი მიმდინარე წლის ბოლომდე სამხედრო დოქტრინაში ნატო-სთან მიმართებით რიგ ცვლილებებს შეიტანს.

„ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ნატოს შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკის მოახლოება ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხეა რუსეთისთვის. ამასთანავე სულ უფრო მეტად იკვეთება აშშ-სა და ნატოს წევრი ქვეყნების განსაკუთრებული აქტიურობა, სტრატეგიული პოზიციების განმტკიცებასთან დაკავშირებით“, – განაცხადა პოპოვმა. (ნიუპოსტი)

## სსიპ — აპოლონ ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია აცხადებს კონკურსს ასისტენტ პროფესორის (4 წლის ვადით), ასისტენტის (4 წლის ვადით) აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთათვის

**კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

1. პირადი განცხადება რექტორის სახელზე
2. **CV**
3. პირადობის მოწმობის ასლი
4. ოთხი ფოტოსურათი (3/4)
5. შესაბამისი განათლების, სამუშაო სტაჟის, კვალიფიკაციისა და სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთების ნოტარიულად დამოწმებული ასლი
6. პორტფოლიო – მხატვრულ ნამუშევართა ალბომი ან სხვა სახის ვიზუალური მასალა ან/და ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც, კანდიდატის აზრით, დასახელებულ დარგში მაქსიმალურად წარმოაჩენს მის პროფესიულ შესაძლებლობებს
7. ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დაკავების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი/სილაბუსები) კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (**ECTS**) გათვალისწინებით.

**ასისტენტ პროფესორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:**

- საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონკურსები
- გამოფენები, გამოქვეყნებული შრომები
- კინოფესტივალებში მონაწილეობა
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

**ასისტენტ-პროფესორი უზრუნველყოფს:**

- სასწავლო პროცესის წარმართვას.
- მუშაობს სრული და ასოცირებული პროფესორის ხელმძღვანელობის ქვეშ.
- ასრულებს სამუშაოს მათ მიერ შედგენილი პროგრამის მიხედვით. ატარებს ლექციებს, ლექცია-პრაქტიკუმის კურსს.
- ასრულებს სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამუშაოს (მონაწილეობს გამოფენების, სემინარების, ვორკშოპების, პროფესორთა მასტერკლასების ჩატარებისას), ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

**ასისტენტი:**
ასისტენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის პირადი მონაცემების შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი კრიტერიუმები:

**ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორი, დოქტორანტი ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მედიახელოვნების ფაკულტეტის პრიორიტეტების შესაბამისი განათლება და პროფესიული გამოცდილება.**

- **CV**
- პორტფოლიო
- სამოტივაციო წერილი
- საერთაშორისო ან რესპუბლიკური კონკურსები
- გამოფენებსა და ფესტივალებში მონაწილეობა
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა
- სასურველია დარგის პროფესორის სარეკომენდაციო წერილი და შუამდგომლობა.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 2005-2013 წლებში საქართველოს მოქალაქეობა 53 067 უცხოელს მიენიჭა




„თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (**IDFI**) ინფორმაციით, 2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების 53 067 ფაქტი დაფიქსირდა. კვლევაში ნათქვამია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ყველაზე მეტ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, 9 626 პირს საქართველოს მოქალაქეობა 2013 წელს მიანიჭა.

**IDFI**-ის ინფორმაციით, 2005-2013 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 37 462 რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირს, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეზე (15 605 პირი) საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევებს.

საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თვალსაზრისით გამორჩეულები არიან, აგრეთვე, თურქეთის (3 464 პირი) და ისრაელის (3 367 პირი) მოქალაქეები.

გარდა ამისა, 2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის 40 100 მოქალაქეზე გაიცა ბინადრობის ნებართვა, საიდანაც მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაცემულია უცხო ქვეყნის 8791 მოქალაქეზე, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვა – უცხო ქვეყნის 31 309 მოქალაქეზე. მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემის ყველაზე მეტი (2502 პირი) შემთხვევა 2010 წელს ფიქსირდება, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვების – 2012 წელს (6 426 პირი).

2005-2013 წლებში ყველაზე მეტი მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცა რუსეთის მოქალაქეებზე (5879), ხოლო ყველაზე მეტი დროებითი ბინადრობის ნებართვა – თურქეთის მოქალაქეებზე (7812). დროებითი ნებართვების მიღების რაოდენობის თვალსაზრისით გამოირჩევიან, აგრეთვე, ჩინეთის მოქალაქეები, 2011-2013 წლებში ყოველწლიურად ჩინელებზე გაცემული დროებითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა 1300-დან 1800-მდე მერყეობს. (რეპორტიორი)

## „ნაწლავური ინფექციების ეპიდემიის საშიშროება არ არსებობს"




დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრში აცხადებენ, რომ ნაწლავური ინფექციების ეპიდემიურად გავრცელების საშიშროება არ არსებობს. შესაბამისად, არ არის პანიკის საფუძველი, თუმცა, სპეციალისტები ნაწლავური ინფექციების გამომწვევი ერთ-ერთი ნორო ვირუსის შემთხვევების მომატების გამო მოსახლეობას ჰიგიენის დაცვას ურჩევენ.

„ასეთი შემთხვევები ზაფხულში არის ხოლმე, ეს არის დაკავშირებული ძირითადად ჰიგიენური პირობების დაუცველობასთან, ამის პრევენციის ერთადერთი გზა ჰიგიენური ნორმების დაცვაა", – განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, პაატა იმნაძემ. (რეპორტიორი)

## სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს რექტორის თანამდებობის დასაკავებლად 4 წლის ვადით

რექტორის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომლის მიმართულებაც შეესაბამება აკადემიასა და მის ფაკულტეტებზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს. კანდიდატებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია; **CV;** განათლების ან/და სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან იმის თაობაზე, რომ კანდიდატს უკავია პროფესორის აკადემიური თანამდებობა; 4-წლიანი სტრატეგიული განვითარების კონცეფცია და სამოქმედო გეგმა; ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც კანდიდატი საჭიროდ ჩათვლის.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის საბჭო აცხადებს კონკურსს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე. კანდიდატებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია; **CV;** განათლების ან/და სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც კანდიდატი საჭიროდ ჩათვლის.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიზაინის ფაკულტეტის საბჭო აცხადებს კონკურსს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა თსსა დიზაინის ფაკულტეტზე. კანდიდატებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია; **CV;** განათლების ან/და სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; ასევე, ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც კანდიდატი საჭიროდ ჩათვლის.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის საბჭო აცხადებს კონკურსს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა თსსა არქიტექტურის ფაკულტეტზე. კანდიდატებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია; **CV;** განათლების ან/და სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; ასევე, ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც კანდიდატი საჭიროდ ჩათვლის.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის საბჭო აცხადებს კონკურსს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა თსსა მედიახელოვნების ფაკულტეტზე. კანდიდატებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია; **CV;** განათლების ან/და სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც კანდიდატი საჭიროდ ჩათვლის.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭო აცხადებს კონკურსს ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად 4 წლის ვადით. დეკანის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტზე. კანდიდატებმა დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ: ავტობიოგრაფია; **CV;** განათლების ან/და სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტების დამოწმებული ასლები; ასევე ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც კანდიდატი საჭიროდ ჩათვლის.

**კანდიდატების რეგისტრაცია იწარმოებს თსსა კანცელარიაში, 2014 წლის 3 ოქტომბრიდან 4 ოქტომბრის 18:00 საათამდე. საკონტაქტო პირი ლანა მანაგაძე.**

# რატომ გამოუცხადეს „რესპუბლიკელებმა“ ბოიკოტი „ოცნების“ მიერ მოწვეულ საკრებულოს სხდომას?

თბილისის მერია დედაქალაქის ბიუჯეტისთვის 30 მილიონი ლარის სესხის აღებას გეგმავს. ეს საკითხი თბილისის საკრებულომ გუშინ, საკრებულოს წევრთა ნაწილისთვის მოულოდნელად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განიხილა. სხდომაზე საკითხი საფინანსო სამსახურის უფროსმა ლევან თევზაიამ დააყენა. მისი განმარტებით, სესხის აღების აუცილებლობა განპირობებულია იმ ხარვეზებით, რომლებიც ბიუჯეტის დაგეგმვის დროს არსებობდა. კერძოდ, 48 მილიონ 500 ათასი ლარით გაზრდილი ქონების გადასახადის გამო, რომელიც ვერ შესრულდა. „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის“ თავმჯდომარემ ირაკლი აბესაძემ უმრავლესობას შეახსენა, რომ ბიუჯეტი, რომელსაც დღეს იწუნებენ, „ქართულმა ოცნებამ“ შეადგინა: „ნარმანია, გასული წლის დეკემბერში ტაშს უკრავდა ხადურის უარგუმენტო გადაწყვეტილებას, რომ 50 მილიონით შემცირებულიყო თბილისის ბიუჯეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსება. ახლა აღმოაჩინა, რომ თურმე 30 მილიონი აკლდება. თითქმის 4-ჯერ შეამცირეს სოციალური საკითხების დაფინანსება“.

თევზაიას განცხადებით, მათ, 50 მილიონის უკან დაბრუნების მიზნით ფინანსთა სამინისტროს წერილობით უკვე მიმართეს, თუმცა სამინისტრო ამ თანხის დაბრუნებაზე უარს აცხადებს, იმ მოტივით, რომ არ აქვს განსაზღვრული სესხის გაცემისთვის საჭირო თანხები.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა 30 მილიონი ლარის სესხის აღებას მხარი არ დაუჭირეს, ფრაქცია „ქართული ოცნება – რესპუბლიკელებმა“ კი, რიგგარეშე სხდომაში მონაწილეობა არ მიიღეს.

**„ალია“ დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — რესპუბლიკელების“ წევრს, დავით ზურაბიშვილს ესაუბრა:**

– გასაგებია, რომ საჭირო იყო ეს თანხა, მაგრამ საკრებულო რისთვის არსებობს? ვენდობით დედაქალაქის მერს, მაგრამ საკრებულოს წევრების ფუნქცია ის არის, რომ ყველა საკითხი დეტალურად განიხილო, კონკრეტულად რას დააკლდა, რას ემატება, რაში დაიხარჯება ეს თანხა. შესაძლოა, მერიაში ეს განიხილეს, მაგრამ საკრებულოში არ ყოფილა ამ თემის განხილვა. იქნებ ვინმეს რაღაც გამორჩა და გაიპაროს რამე და შეკითხვები გაჩნდეს. წინა ხელისუფლება სწორედ იმიტომ შევცვალეთ, რომ მათ ჰქონდათ ასეთი მიდგომა, რაღაცა გადაწყდებოდა მერიაში, მერე საკრებულოში მოიტანდნენ და ეტყოდნენ, ხელი მოგვიწერეთ, ხელი აგვიწიეთ ან პულტზე ხელი დაგვიჭირეთო.

**— ბატონო დავით, როგორც საკრებულოში განმარტავენ, აღნიშნული თანხა ძირითადად, სოციალური საკითხების მოგვარებას უნდა მოხმარდეს. ამას ეწინააღმდეგებით?**

– ამას კი არ ვეწინააღმდეგებით, ჩვენ გადაწყვეტილების ასე ნაჩქარევად მიღების წინააღმდეგი ვართ. ჯერ უნდა გავიგოთ, რა არგუმენტებით ვიღებთ კომერციული ბანკებისგან სესხს. წინასწარ უნდა ვიცოდეთ ყველაფერი, სხდომაზე ხომ მომზადებული უნდა მივიდეთ. ჩვენ ხომ ოპოზიცია არ ვართ, რომ ჩავუსაფრდეთ, სხდომაზე მივიდეთ, იქ „დავაყაროთ“ კითხვები და უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენოთ მერი?!

**— მაინც ხომ არ სჯობდა სხდომას დასწრებოდით და იქ გამოგეთქვათ თქვენი პრეტენზიები?**

– ჩვენ რაც გვქონდა სათქმელი, ჩვენი ქმედებით ვთქვით. სხდომას ხმის საწინააღმდეგოდ მისაცემად ხომ არ დავესწრებოდით? ეს არის მანკიერი პრაქტიკა, რომელიც წინა ხელისუფლების პერიოდში დაინერგა, დღეს კი იგივე გრძელდება. იმედია, რომ ეს უბრალოდ ინერციით ხდება, რაც არსებითადაა შესაცვლელი!



**ზურაბიშვილის პრეტენზიებთან დაკავშირებით „ალია“ საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს, ჯაბა სამუშიას დაუკავშირდა:**

**— ბატონო ჯაბა, გსაყვედურობენ, რომ ვერ დააკონკრეტეთ, რაში უნდა დაიხარჯოს ეს 30 მილიონი. იქნებ განგვიმარტოთ.**

– საუბარი თანხის დახარჯვაზე არ არის, ჩვენ მხოლოდ საკრედიტო ხაზის გახსნაზე ვისაუბრეთ. თუ დასჭირდება თბილისის მერიას ამ თანხის ათვისება, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახარჯავს. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული თანხა საერთოდ არ გამოვიყენოთ. რიგ სეგმენტებში, ბიუჯეტი გამოცარიელებული დაგვხვდა, არ მოიძებნება თანხები, რომ სოციალური საკითხები მოგვარდეს. 7 თვის მონაცემებით, ყველა რაიონს განულებული აქვს სოციალური დახმარების თანხები.

ამ 7 თვის მონაცემებით ფინანსები დახარჯულია ისეთ პროექტებზე, რომლებიც ნაკლებად მნიშვნელოვანია. ფული დახარჯულია ისეთი კორპუსების შეღებვასა და სადარბაზოების გარემონტებაზე, რომლებსაც საძირკველი აქვს დაზიანებული და ჭერიდან წყალი ჩამოდის. ახლა კი გვიწევს სახსრების მოძიება, რომ რაიონები ავამუშაოთ. ამიტომ მოგვმართა მერიამ, რომ სესხის აღების უფლება მივცეთ. ახლა, ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს უნდათ, რომ ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანონ, მაგრამ მარტივზე მარტივია, რომ მათ პასუხი უნდა აგონ, რომ მთელი წლის ბიუჯეტი მესამეხარისხოვან პროექტებს მიახარჯეს და მერე გველაპარაკონ.




**— ბატონო ჯაბა, თუ არის გარკვეული ამ დროისთვის, რამდენპროცენტიანი სესხი უნდა აიღოთ და რამდენ ხანში უნდა დაიფაროს?**

– ეს ამ ეტაპზე არ არის გარკვეული, ჩვენ ჯერ ამ თანხის მიღებაზე გვაქვს მხოლოდ თანხმობა.

**— იმაზეც გაგაკრიტიკეს, რომ ის ფული, რომელიც ვალად უნდა აიღოთ, „ძვირი ფულია“...**

– ჩვენ ყველა გზას მივმართავთ, რომ ეს თანხა დაბალ პროცენტად ავიღოთ, რათა დიდი ვალდებულებები ავირიდოთ თავიდან.

**— ის 50 მილიონიც შეგახსენეს, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას ჩამოეჭრა...**

– ასეთი სიტუაცია შექმნეს. ჩვენ ვთქვით და ახლა თქვენ თავი იმართლეთო. უნამუსობაა ეს! საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ეს თანხა თბილისს არ ეკუთვნის. ეს თანხა იმ შემთხვევაში იქნებოდა თბილისის ბიუჯეტისკენ მიმართული, საგადასახადო კოდექსში რომ ცვლილებები მომხდარიყო. საუბარია ერთწლიანი საბარათო სისტემის შექმნაზე, რომელიც გამიჯნავდა და თბილისში მოქმედი საწარმოებიდან მიღებული გადასახადი ადგილობრივ თვითმმართველობას ჩაერიცხებოდა. ეს თანხა, თავის დროზე, ჩასვეს ბიუჯეტში „ნაციონალებმა“. 50 მილიონზე რომ საუბრობენ, სინამდვილეში საუბარია 40 მილიონზე. მერე თვითონვე მიხვდნენ, რომ ეს თანხა არარეალური იყო, რადგან რეალურად არ შემოვიდოდა თანხის ეს ოდენობა ბიუჯეტში, რადგან საამისო საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობდა. ამიტომ თბილისის ძველმა მთავრობამ, მიმართა ფინანსთა სამინისტროს აპირებდნენ თუ არა ასეთი ცვლილების განხორციელებას. ფინანსთა სამინისტროდან პასუხად მიიღეს, რომ მსგავსი საკითხი განხილულიც არ იყო. ამის მერე მერიის ინიციატივით, აღნიშნული თანხის, 40 მილიონის ამოღება მოხდა ბიუჯეტიდან. ამ გადაწყვეტილების ამსახველი დოკუმენტი საკრებულოშიც შემოიტანეს, მაგრამ მაშინ არჩევნები იყო და ეს გადაწყვეტილება ვერ განხორციელდა, ანუ ამ ცვლილებებს „ნაციონალები“ ითხოვდნენ, თვითონ დაგეგმეს არასწორად ბიუჯეტი და დღეს გვეუბნებიან, ფინანსთა სამინისტროსთან რატომ არ დაიწყეთ მოლაპარაკება თანხის დაბრუნების საკითხზეო. რაზე უნდა დაგვეწყო მოლაპარაკება, კანონი რასაც არ გავალდებულებს, ის გააკეთეო?

**— „რესპუბლიკელებმა“ არ მიიღეს მონაწილეობა საკითხის განხილვაში. მათ უკმაყოფილება გამოთქვეს, რომ მსგავსი საკითხის გადაწყვეტა, ასე მოკლე დროში არ უნდა მომხდარიყო. როგორ შეაფასებთ მათ ამ გადაწყვეტილებას?**

– არ მქონდა მათთან კომუნიკაცია. შვებულებიდან პირდაპირ საკრებულოს სხდომაზე აღმოვჩნდი. არავითარი ფორს-მაჟორი არ ყოფილა. 27 აგვისტოს შემოვიდა ეს საკითხი საკრებულოში. შევიკრიბეთ და განვიხილეთ. ეს იყო ბუნებრივი პროცესი.

**ცნობისთვის: დედაქალაქის საკრებულომ თბილისის მერიის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ბიუჯეტისთვის 30 მილიონი ლარის სესხით აღების შესახებ თანხმობა მისცა.**

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## 200-მდე უკრაინელი სამხედრო ტერორისტებს ტყვედ ჩაუვარდა



უკრაინის არმიამ დონეცკის ოლქის კიდევ ორ ქალაქში კრახი განიცადა. ინფორმაციას ამის შესახებ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს. ქალაქ ილოვაესკთან 200-მდე უკრაინელი ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა.

უკრაინის პრეზიდენტი ქვეყანაში საომარი მდგომარეობის შემოღებაზე ფიქრობს. ამის შესახებ პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ რადის დეპუტატმა პარტია „სვაბოდას“ წევრმა ოლეგ ტიაბნიკოვმა განაცხადა.

უკრაინის საინფორმაციო ანალიტიკური ცენტრის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ამ დროისთვის ქვეყნის აღმოსავლეთით 15 ათასამდე რუსი სამხედრო იმყოფება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ქუვეითის ინგლისურენოვანი გამოცემა საქართველოს შესახებ სტატიას აქვეყნებს



ქუვეითის ინგლისურენოვანი გამოცემა **TimesKuwait** საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიას სათაურით „გამაოგნებელი საქართველო“ აქვეყნებს.

„არქიტექტურული ოცნება, საოცარი კერძები, ფესტივალები, გამორჩეული ენა, უნიკალური კულტურა და ყველაზე მეგობრული ხალხი. ყოველივე ეს საქართველოს საოცრად მიმზიდველს ხდის. დიდებული უძველესი ეკლესიები, საგუშაგო კოშკები, ციხესიმაგრეები, მთების ფანტასტიკური პეიზაჟი: ეს საქართველოა, საოცარი მემკვიდრეობით, ხელოვნებითა და არქიტექტურით.

ამ ქვეყნის ყველაზე დიდი საგანძური ქართველები არიან. თბილი, ამაყი, სულგრძელი, კულტურული, სტუმართმოყვარე და მხიარული ხალხი.

საქართველოში არქიტექტურა ანტიკურიდან კოსმოსის ეპოქას მოიცავს. აქ იხილავთ არქიტექტურის რადიკალურ ნიმუშებს, რაც ახალგაზრდა, თანამედროვე საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს. მთებით გარშემორტყმულ თბილისში ერთმანეთზე გადაჯაჭვულია საუკუნეების წინათ აშენებული სასახლეები, ეკლესიები, ციხესიმაგრეები და თანამედროვე არქიტექტურული დიზაინით შექმნილი შენობები.

ბათუმი აჭარის ქალაქია, სადაც ზაფხულის მხიარულად გატარებაა შესაძლებელი. თვალის შევლებითაც მტკიცდება, რომ საქართველოს აქვს ამბიცია, მოახდინოს „ვესტერნიზაცია“ და საბჭოთა წარსული მოიშოროს. ერთ-ერთ მოდერნისტულ ცათამბჯენზე ოქროსფერი ეშმაკის ბორბალია დამაგრებული. მთელ ქალაქს მეწამური, ლურჯი და წითელი ფერები გადაჰკრავს, როგორც საახალწლო ნაძვის ხეს“, – აღნიშნულია სტატიაში.

თბილისისა და ბათუმის შემდეგ თიმესკუწაიტ სტატიაში დავით გარეჯი, თუშეთის ეროვნული პარკი, ბეთანია, ბაკურიანი და საქართველოს სხვა ტურისტული მარშრუტებია აღწერილი. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიასა და კულტურას.

სტატიის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული სააგენტო ავრცელებს. (ინტერპრესნიუსი)

# საქართველოს თავშესაფრის მოთხოვნით 1300-ზე მეტმა უცხოელმა მიმართა



**IDFI**-ის მიერ გაანალიზებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში, ბოლო პერიოდის განმავლობაში, ყოველწლიურად იზრდება უცხო ქვეყნის მოქალაქე თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა.

კერძოდ, ორგანიზაციისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან მიღებული მონაცემებით, გასული ორი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას თავშესაფრის მოთხოვნით 1300-ზე მეტმა უცხოელმა მიმართა 30 სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ ძირითად რაოდენობას აზიისა და აფრიკის ქვეყნების მოქალაქეები შეადგენენ.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში, წინა წლებთან შედარებით, მაძიებელთა რიცხვის მკვეთრი ზრდა შეიძლება აიხსნას საერთაშორისო მოვლენებით. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტებმა და არსებულმა საომარმა მოქმედებებმა აიძულა ამ ქვეყნების მოქალაქეები, დაეტოვებინათ საცხოვრებელი და თავშესაფრის მოთხოვნის მიზნით მიემართათ სხვადასხვა სახელმწიფოებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. თვალსაჩინო მაგალითისთვის, 2005 წლიდან 2011 წლამდე საქართველოში თავშესაფრის მთხოვნელთა რიცხვი 300-ს არ აღემატებოდა. 2005 წელს თავშესაფარი 23-მა უცხოელმა ითხოვა, 2006 წელს – 19-მა; 2007 წელს – 21-მა; 2008 წელს – 33-მა; 2009 წელს – 43-მა; 2010-ში კი – 57-მა. აქედან უდიდეს ნაწილს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები შეადგენდნენ. ამ ფონზე, თვალშისაცემი გახდა ბოლო ორი წლის მონაცემების მკვეთრი ზრდა. 2012 წელს საქართველოს მთავრობას ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების თხოვნით 599 განმცხადებელმა მიმართა, მათ შორის იყო 443 ერაყელი წარმომავლობის მოქალაქე. წარმოდგენილი მოთხოვნებიდან დაკმაყოფილდა 44 განცხადება. 2013 წელს კი თავშესაფარი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჯამში 717 უცხოელმა ითხოვა, მათ შორისაც სჭარბობდა ერაყელი წარმოშობის 478 მოქალაქე. აქედან ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი 31 მოქალაქეს მიენიჭა. ერაყის მოქალაქეების გააქტიურება თავშესაფრის ძიების მხრივ, კვლავ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს უკავშირდება. მათი უმრავლესობა მეორედ არის დევნილობაში, თავის დროზე ერაყში მიმდინარე კონფლიქტის გამო მათ დატოვეს თავიანთი ქვეყანა და მიიღეს თავშესაფარი სირიისგან, ხოლო სირიაში განვითარებული მოვლენების გამო მათ ამ ქვეყნის დატოვებაც და თავშესაფრის სხვაგან ძიება მოუხდათ“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სტატისტიკას, **IDFI**-ს მონაცემებით, 2005-2013 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების 53 067 ფაქტი დაფიქსირდა. საქართველოს პრეზიდენტმა ყველაზე მეტ უცხო ქვეყნის მოქალაქეს – 9 626 საქართველოს მოქალაქეობა 2013 წელს მიანიჭა.

მათივე ინფორმაციით, 2005-2013 წლებში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა 37 462 რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირს, რაც დაახლოებით ორჯერ აღემატება ყველა სხვა ქვეყნის მოქალაქეზე (15 605 პირი) საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევებს. აღნიშნული დიდწილად გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით პრეზიდენტს მიმართავენ რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ეთნიკური ქართველები. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თვალსაზრისით გამორჩეულები არიან თურქეთის (3 464 პირი) და ისრაელის (3 367 პირი) მოქალაქეები.

„2005-2013 წლებში თურქეთის მოქალაქეებზე საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევების დიდი რაოდენობა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2013 წელს საპრეზიდენტო ვადის უკანასკნელ თვეებში თურქეთის მოქალაქეობის მქონე ეთნიკურ ქართველების უპრეცედენტო რაოდენობას გამარტივებული წესით მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. 2013 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა დაახლოებით იმდენ თურქეთის მოქალაქეს, რამდენსაც ერთობლივად 2005-2012 წლებში“, – აცხადებენ ორგანიზაციაში.

რაც შეეხება ბინადრობის ნებართვას, ყველაზე მეტი მუდმივი ბინადრობის ნებართვა 2010 წელს გაიცა, ხოლო დროებითი – 2012 წელს. ბინადრობის დროებითი ნებართვის აღებით გამოირჩევიან თურქები, ჩინელები, ინდოელები, ირანელები.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მუდმივი ბინადრობის მოწმობა გაიცემა საქართველოს მოქალაქის მეუღლეზე, მშობელზე, შვილზე, ასევე უცხოელზე, რომელმაც საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე იცხოვრა ბოლო 6 წლის განმავლობაში. მუდმივი ბინადრობის სახეს წარმოადგენს ასევე საინვესტიციო ბინადრობის მოწმობა. აღნიშნული გაიცემა უცხოელზე, რომელმაც საქართველოში განახორციელა არანაკლებ 300 000 ლარის ოდენობის ინვესტიცია, ასევე მისი ოჯახის წევრზე. რაც შეეხება დროებითი ბინადრობის ნებართვას, ის შეიძლება გაიცეს, მაგალითად, საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის ან ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის მიზნით, ასევე პირზე, რომელსაც საქართველოში დაუდგინდა მოქალაქეობის არმქონე პირის სტატუსი და სხვა. დროებითი ბინადრობის მოწმობა უცხოელებზე გაიცემა არაუმეტეს 6 წლის ვადით, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირებზე – 3 წლის ვადით. 2005-2013 წლებში 40 100 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაიცა ბინადრობის ნებართვა, საიდანაც მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაცემულია 8791 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვა – 31 309 უცხო ქვეყნის მოქალაქეზე. მუდმივი ბინადრობის ნებართვების გაცემის ყველაზე მეტი (2502 პირი) შემთხვევა 2010 წელს ფიქსირდება, ხოლო დროებითი ბინადრობის ნებართვების – 2012 წელს (6 426 პირი). 2005-2013 წლებში ყველაზე მეტი მუდმივი ბინადრობის ნებართვა გაიცა რუსეთის მოქალაქეებზე (5879), ხოლო ყველაზე მეტი დროებითი ბინადრობის ნებართვა – თურქეთის მოქალაქეებზე (7812). დროებითი ნებართვების მიღების რაოდენობის თვალსაზრისით გამოირჩევიან, აგრეთვე, ჩინეთის მოქალაქეები, რომელთა აქტივობა განსაკუთრებით შეინიშნება უკანასკნელ წლებში. 2011-2013 წლებში ყოველწლიურად ჩინელებზე გაცემული დროებითი ბინადრობის ნებართვების რაოდენობა 1300-დან 1800-მდე მერყეობს“, – აცხადებენ ორგანიზაციაში. (ფრონტნიუსი)

# GWP ტუმბოების გადაიარაღებას, ახალი წნევის რეგულატორების დამონტაჟებასა და ორი ახალი სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობას გეგმავს

**„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ დედაქალაქის მასშტაბით მოძველებული და ამორტიზებული ქსელების რეაბილიტაციას თბილისის 65 ქუჩაზე ატარებს. მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით შეცვლილი ქსელების საერთო სიგრძე 60 კმ-ია. რა პრინციპით ტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამდენად გეგმაზომიერია ეს პროცესი, რამდენად აქტიურად მიმდინარეობს მოძველებული წყლის მილების შეცვლა თბილისში? ამის შესახებ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილე ომარ გოცირიძე საუბრობს.**

**— რამდენად აქტიურად მიმდინარეობს მოძველებული წყლის მილების შეცვლა თბილისში, რა სიგრძის ქსელები შეიცვლება წლის ბოლომდე, და რა ინტენსივობით ატარებს ასეთ სამუშაოებს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“?**

– სხვადასხვა ტიპის ტექნიკური სამუშაოების განხორციელება, სარეაბილიტაციო იქნება ეს თუ საპროფილაქტიკო და ა.შ. – მუდმივად მიმდინარე პროცესია და ყოველწლიურად ვატარებთ. წელსაც, მოძველებული და ამორტიზებული ქსელების რეაბილიტაცია თბილისის 65 ქუჩაზე ტარდება. ეს ნიშნავს, რომ წყალსადენის თუ საკანალიზაციო სხვადასხვა დიამეტრის მილები მთლიანად ახლით იცვლება. ამასთანავე, ეწყობა ახალი საკვანძო ჭები და მონტაჟდება ახალი ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდულები. შეცვლილი ქსელების საერთო სიგრძე წელს 60 კმ-ზე მეტი იქნება და წლევანდელი გეგმით გათვალისწინებული ეს სამუშაოები, პრაქტიკულად, დასრულებულია.

რასაკვირველია, სარეაბილიტაციო სამუშაოები „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ გასულ წლებშიც განახორციელა – 500-ზე მეტი ქუჩის მოძველებული ქსელები უკვე მთლიანად შეცვლილია ახლით. საერთო ჯამში, ქსელების 400 კმ-ზე მეტია გაჯანსაღებული და ამას წლევანდელი სამუშაოებიც დაემატება. ქსელების შეცვლა-განახლების პროცესი მომავალ წლებშიც გაგრძელდება, თუმცა, სარეაბილიტაციო პროცესი მხოლოდ წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელებს არ მოიცავს – ჩატარდა ისეთი კომპლექსური სამუშაოები, როგორიცაა მძლავრი სატუმბი სადგურების გადაიარაღება უახლესი ტიპის ტუმბო-დანადგარებით, თბილისის უბნებში არსებული ადგილობრივი წნევის მარეგულირებელი ტუმბოების გადაიარაღება უახლესი ტიპის ტუმბოებით და ახალი წნევის რეგულატორების დამონტაჟება, ასევე, ორი ახალი, დიდი მოცულობის სასმელი წყლის რეზერვუარის მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება, ძველი რეზერვუარების რეაბილიტაცია და ა.შ. ყველა ამ სამუშაოს კომპანია თბილისის სტაბილური წყალმომარაგებისთვის ახორციელებს.

**— რა პრინციპით ტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამდენად გეგმაზომიერია ეს პროცესი?**

– ყველა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაო წინასწარ იგეგმება. ყოველი წლის ბოლოს უკვე მზად არის დეტალურად გაწერილი მომდევნო წლის საინვესტიციო პროგრამები, მათ შორის სარეაბილიტაციო პროგრამაც – წყალმომარაგების ობიექტების გადაიარაღება, ქსელების ახლით შეცვლა, მშენებლობა და ა.შ. – ყველა ამ სამუშაოს განხორციელებას კომპანია მითითებულ ვადებში ახდენს. რაც შეეხება თბილისის ქუჩების ქსელების განახლებას, სამუშაოების დაგეგმვისას ვცდილობთ, პრიორიტეტი მივანიჭოთ იმ ქუჩებს, სადაც მილების ტექნიკური მდგომარეობა უარეს მდგომარეობაშია და ამ პრინციპით განვაახლოთ ქსელები. რაც მთავარია, ტექნიკური სამუშაოების დაგეგმვას წინ უძღვის ქსელების რეალური მდგომარეობის შესწავლა სხვადასხვა უბანში, რასაც კომპანიის სპეციალისტები და მოწვეული ექსპერტები იკვლევენ, შემდეგ კი, რეაბილიტაციის პროცესის დაწყებამდე, საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს და ქუჩების ჩამონათვალი მერიის შესაბამის სამსახურებთან თანხმდება.

**— სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო მოსახლეობას წყალმომარაგება უწყდება და გასაკვირი არ არის, რომ ეს მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს — ხომ ვერ შეეცდებოდით, სარეაბილიტაციო პროცესი ისე ჩაატაროთ, რომ ეს თბილისელების წყალმომარაგებაზე არ აისახოს?**

– ჩვენ გვესმის, რომ თბილისელები წყალ-



მომარაგების შეწყვეტის შემთხვევებს მძაფრად განიცდიან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მომხმარებელმა გაიგოს, რომ დედაქალაქის წყალმომარაგების სისტემის სტაბილურობისთვის ამ სამუშაოების ჩატარება აუცილებელია. სამწუხაროდ, ყველა ტექნიკური სამუშაო, რასაც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ახორციელებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, აუცილებლად მოითხოვს წყლის მიწოდების შეწყვეტას ან შეზღუდვას გარკვეული დროით და გარკვეული არეალისთვის – ამის გარეშე წარმოუდგენელია სამუშაოების წარმართვა. ქსელები, რომელსაც რეაბილიტაცია ან პროფილაქტიკა უნდა ჩაუტარდეს, აუცილებლად უნდა დაიცალოს წყლისგან, შესრულდეს სამუშაოები და საბოლოოდ, ისევ დაიტვირთოს წყლით – ყველა ტიპის ტექნიკური სამუშაოს შესრულებას თავისი გაწერილი პროცედურა და შესრულების დრო აქვს, რისი ზედმიწევნით დაცვაც ტექნიკური სამსახურების მოვალეობაა.

მართალია, სამუშაოების განხორციელებისას წყლის შეწყვეტა გარდაუვალია, მაგრამ კომპანია ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება მცირე არეალს შეეზღუდოს წყალმომარაგება. ამ მიზნით, თბილისის სხვადასხვა უბანში, წლის ბოლომდე, დამატებით 123 ჩამკეტი ურდული დამონტაჟდება, რაც წყალმომარაგების შესაძლო წყვეტის არეალს კიდევ უფრო შეამცირებს. ასევე, მაქსიმალურად ვცდილობთ, სამუშაოები ღამის საათებში ჩავატაროთ, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, და მომხმარებელს ნაკლები დისკომფორტი შევუქმნათ.

ასევე, რეგულარულად ვახდენთ მოსახლეობის ინფორმირებას წყლის შეწყვეტის თაობაზე. ამისთვის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ყველა საშუალებას იყენებს – დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების შესახებ განცხადება 10 დღით ადრე ქვეყნდება გაზეთ „რეზონანსში“, ერთი დღით ადრე ვრცელდება საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით, ქვეყნდება კომპანიის ოფიციალურ „ფეისბუკის“ გვერდზე და ვებგვერდზე, წყალმომარაგების წყვეტის არეალში მცხოვრებ აბონენტებს **SMS**-შეტყობინებები ეგზავნებათ და ყველაფერთან ერთად, 24 საათის განმავლობაში აბონენტების სამსახურშია ცხელი ხაზი. გარდა ამისა, როდესაც ტექნიკური სამუშაოების ჩატარება წყლის შეწყვეტას დიდი არეალისთვის ითხოვს, კომპანია ყოველთვის ავრცელებს ინფორმაციას ტელე და რადიოკომპანიების მეშვეობით.

გვინდა განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ **SMS**-შეტყობინების სერვისზე. **SMS** წყალმომარაგების წყვეტის არეალში მცხოვრებ ყველა იმ აბონენტს ეგზავნება, რომლის მობილური ტელეფონის ნომერი კომპანიის ბილინგის ბაზაშია დაფიქსირებული. სადღეისოდ, მობილური ტელეფონის საშუალებით ინფორმაციის მიღება კომპანიის 100 000-ზე მეტ აბონენტს შეუძლია. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, პერიოდულად, რეკომენდაციითაც მიმართავს იმ თბილისელ აბონენტებს, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ ამ უფასო სერვისით – მოგვაწოდონ თავიანთი მობილური ტელეფონის ნომრები, ამისთვის მსურველმა კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაცია უნდა გაიაროს.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# მარგველაშვილის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში, თენგიზ ფხალაძე მძიმე მდგომარეობაშია

## რა ინფორმაციები ჟონავს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან?

კითხვა, რომელიც ბოლო ხანს ბევრს აწუხებს: რად გვინდა პრეზიდენტი, რომელსაც უფლებები ჩამოართვეს და რაც დაუტოვეს, ისიც ვერ დაუცვია?! რას წარმოადგენს პრინციპებშემოღლეტილი პრეზიდენტი? – პლასტელინს, რომელსაც იმ ფორმას მისცემ, რის უფლებასაც შენი ფანტაზია მოგცემს და რა გამოიძერწა დღეს მარგველაშვილისგან? – ფუნქციადაკარგული ფილოსოფიური ფიტული, რომელიც დადის, ოღონდ ჩვენი დაფინანსების ხარჯზე, ჭამს და აჭმევს მის ფუნქციადაკარგულ ადმინისტრაციას ჩვენი გადახდილი გადასახადებით და ლაპარაკობს ლაპარაკისთვის. რაში გვჭირდება უფუნქციო პრეზიდენტი და სად არის გამოსავალი? გამოსავალი მის ხელშია, ვინც მარგველაშვილი პრეზიდენტად დაქოქა და ეს პიროვნება ივანიშვილია. ბიძინა ივანიშვილს, მარგველაშვილმა იმედები გაუცრუა, მისმა „აღმოჩენამ" ივანიშვილს უღალატა, გააწბილა და „გადააგდო", ამისთვის კი დაისაჯა მხოლოდ ხალხი, ვინც გულწრფელად ივანიშვილის ხათრით მისცა ხმა, იყო ჭიდილი ხალხსა და ივანიშვილს შორის და იყო პროტესტი მარგველაშვილის კანდიდატურის მიმართ, თუმცა, მაშინ ბიძინა ივანიშვილის სიტყვამ გადაწონა, თუკი 60-პროცენტიანი მხარდაჭერა არ ექნებოდა ამ კაცს, მაშინ, ის ჩახსნიდა მარგველაშვილს არჩევნებიდან და კვლავ სააკაშვილი დაბრუნდებოდა თავისი ხროვით.

„მგელი მოდის" ძახილის შიშით ხალხმა ნდობა გამოუცხადა ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ დასჯილი და მოტყუებული დარჩა ისევ ხალხი, სააკაშვილისგან ისედაც დაკნინებული ქვეყნის სიმბოლო, პრეზიდენტის ინსტიტუტი, ახლა უკვე უკიდურესად დასუსტდა. ბატონებო, უფუნქციო ფიტულის შენახვაში ფულს, რატომ გვახდევინებთ? როგორც მოაზრძანეთ, ისე წააზრძანეთ პოლიტიკური ველიდან, თორემ დღეს თუ ლადაობენ, ერთ პრეზიდენტს საქართველოში არ უშვებენ, მეორეს – საქართველოდანო, ხვალ ეს ორი ნაპრეზიდენტალი ისევ თქვენ შემოგიბრუნდებათ ცუდად!

> **„ჟონავს ინფორმაციები, რომ მარგველაშვილის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში, თენგიზ ფხალაძე მძიმე მდგომარეობაშია, რადგან მარგველაშვილი ისტერიულად მოითხოვს, რომ სექტემბრის ბოლოს იყო ამერიკაში და დაგეგმოს მისი გაეროში გამოსვლა. მას ვერ მოუხერხებია მარგველაშვილის დარწმუნება, რომ მისი ჩასვლა პრემიერის გამოსვლის პარალელურად, დიდი პოლიტიკური სკანდალი იქნება და ქვეყანას თავი მოეჭრება"**



მორიგი სკანდალი – ვინ წავა ამერიკაში, პრემიერი თუ პრეზიდენტი, უკვე გამაღიზიანებელ ფორმებს იღებს, ეს მაშინ, როცა ადამიანებს კვლავ შიათ, კვლავ სახლებიდან აგდებენ გამაძღარი ბანკირები, კვლავ ლომბარდებში დარბიან თავის გადასარჩენად, კვლავ დავბრუნდით რიგების ეპოქაში და დაგვცინით, ბატონებო, როცა გვასწავლით ექიმთან ვიზიტისა და წამლების რეცეპტებით აღების კულტურას და ამას აკეთებთ, იმ ფონზე, როდესაც ადამიანების დიდ ნაწილს წამლის შესაძენი ფული არ გააჩნია. ევროსტანდარტები, წამლების ხარისხის მონიტორინგს ითვალისწინებს პირველ რიგში და შემდეგ, წამლების რეცეპტებით გაცემას, არ იცით, რა ხდება ფარმაცევტულ ბაზარზე? გეტყვით, რომ ძვირადღირებული წამლების 60 პროცენტი ფალსიფიცირებულია! პრობლემის ჩამონათვალი გრძელია, მისი გადაჭრის გზები კი – კვლავ შორეულ პერსპექტივაში, ამ დროს, ხალხს აცქერინებთ გულისამრევ შოუს, ვინ წავა „პაეზდკაში" და ვინ ჩამოართმევს ხელს ობამას. დიდი ბოდიში და სულ ფეხებზე ჰკიდია ამ ხალხს თქვენი კინკლაობა, რასაც, სხვათა შორის, ჟურნალისტებს გვაბრალებთ და იმის თავიც არ გაქვთ, აღიაროთ, რომ კონფლიქტი მართლაც არსებობს, ამ ყველაფრის საჯაროდ გამოტანა კი დემოკრატია სულაც არაა. ესაა სულმდაბლობა და ჩამოუყალიბებლობა, რითაც აზარალებთ ჩვენი ქვეყნის იმიჯს. თუკი მოგვიბრუნდებით და გვეტყვით, რომ თქვენ გვაჩუქეთ თავისუფლება, გიპასუხებთ, რომ ეს თავისუფლება ხალხმა საკუთარი სისხლის ფასად მოიპოვა და ბიძინა ივანიშვილმა ფორვარდის როლი ითამაშა, რომელმაც სააკაშვილისგან დახეიბრებული საზოგადოება გზაჯვარედინზე დატოვა. გადაგვიყვანეთ სამშვიდობოს, ბატონებო, და შეცვალეთ ჩვენი ცხოვრება, მაძღრებს სხვაც მაძღარი ნუ გგონიათ. თუკი ამის ძალა არ გაგაჩნიათ, მაშინ სხვა მოვა და ნუ გეწყინებათ, თუკი იმ დროისთვის თქვენდამი ხალხი ნდობის ნულოვან ტოლერანტობას გამოაცხადებს.

> **„თუკი მოგვიბრუნდებით და გვეტყვით, რომ თქვენ გვაჩუქეთ თავისუფლება, გიპასუხებთ, რომ ეს თავისუფლება ხალხმა საკუთარი სისხლის ფასად მოიპოვა და ბიძინა ივანიშვილმა ფორვარდის როლი ითამაშა, რომელმაც სააკაშვილისგან დახეიბრებული საზოგადოება გზაჯვარედინზე დატოვა. გადაგვიყვანეთ სამშვიდობოს, ბატონებო, და შეცვალეთ ჩვენი ცხოვრება, მაძღრებს სხვაც მაძღარი ნუ გგონიათ"**

როგორ უნდა აუხსნათ ამ გაჭირვებულ ხალხს, რატომ გახდა კვირის სკანდალური თემა, გაეროს 69-ე სესიაზე დასწრების საკითხი?

პრეზიდენტის მავნებლობის უვერტიურა, ამჯერადაც კრახით რომ დასრულდა და გაეროს სესიაზე მისი დასწრების ახირებული სურვილიდან, ვერ შეიქმნა ემოციური ფონი, რადგან პრეზიდენტს მავნებლობა უკვე ჩვევაში გადაეზარდა. მავნებლობაა, როცა შედიხარ კალიგულას სასახლეში და „უპრავებ" დანაშაულს დამნაშავეს; მავნებლობაა, როცა სააკაშვილის ბანდის წევრებს მრჩევლებად ეძახი და ამბობ, რომ მაჭავარიანი ბავშვობის მეგობარია; მავნებელი ხარ, როცა პრეზიდენტი გქვია და პირად ინტერესებს სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებ; მავნებლობაა, როცა ღალატობ კაცს, ვინც პრეზიდენტად გაქცია, ღალატობ საკუთარ პრინციპებს და ღალატობ ხალხს. და ყველაზე დიდი მავნებლობა იცით, რა არის? როცა დაუსაქმებელ და მშიერ ადამიანთა არმია ხედავს, როგორ წინაურდებიან თქვენს ხელისუფლებაში სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის „ზონდერები".

ჩემთვის ის უფრო მნიშვნელოვანია, როგორ აღმოჩნდა თანამდებობაზე პროვოკატორის კარიკატურა ალისტრახო, ვიდრე ის, რომელი წახვალთ გაეროს სესიაზე. გავიგე, რომ ალისტრახო, იგივე მალხაზ ბასილაია, რომელიც 2012 წელს „ოცნების" წინააღმდეგ ვანო მერაბიშვილის უწყების მიერ სახელდახელოდ შექმნილ მედიაჯგუფში მუშაობდა და დაკავებული იყო „ოცნების" წევრებზე, ჟურნალისტებზე თავდასხმით და მათ ხელს უშლიდა მუშაობაში, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია, დაგიწინაურებიათ და აფხაზეთის მთავრობის პიარში დაგისაქმებიათ. თურმე, ოფიციალური უწყებიდან კომენტარს აკეთებენ, რომ დღეს სახელმწიფოებრივად აზროვნებსო. ეს რას ნიშნავს, ვინმე აგვიხსნის? ალისტრახო დაასაქმეთ და ჟურნალისტი ეკა დუგლაძე, რომელიც თქვენ გამო „ალისტრახოების" მსხვერპლი გახდა, უმუშევარი დაატოვეთ. ნეტა, ეს რას უნდა ნიშნავდეს? სავარაუდოდ, „ალისტრახოების" რევოლუციას!



გაეროს 69-ე სესიამ მარგველაშვილი გალიმებული დატოვა, ამერიკაში სიტყვით პრემიერი გამოვა, თუმცა ჯერ ყველაფერი წინაა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჯიუტად აცხადებს, რომ ვიზიტზე მუშაობას აგრძელებენ და პრეზიდენტი გაეროში სიტყვით გამოვაო, ეს კი ნამდვილად იქნება საერთაშორისო სკანდალი, თუკი გაეროში საქართველოდან ორი დელეგაცია გამოცხადდება. ჟონავს ინფორმაციები, რომ მარგველაშვილის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში, თენგიზ ფხალაძე მძიმე მდგომარეობაშია, რადგან მარგველაშვილი ისტერიულად მოითხოვს, რომ სექტემბრის ბოლოს იყო ამერიკაში და დაგეგმოს მისი გაეროში გამოსვლა. მას ვერ მოუხერხებია მარგველაშვილის დარწმუნება, რომ მისი ჩასვლა პრემიერის გამოსვლის პარალელურად, დიდი პოლიტიკური სკანდალი იქნება და ქვეყანას თავი მოეჭრება. პრეზიდენტის გარემოცვიდან ის ინფორმაციაც ჟონავს, რომ მარგველაშვილს ამ ნაბიჯის გადადგმას „ნაციონალები" აიძულებენ, კერძოდ, სახელდება თემურ იაკობაშვილის გვარი, რომელიც ამერიკაში საქართველოს ელჩი იყო, ასევე გაიჟღერა ბოკერიასა და რურუას გვარებმა, ისინი მარგველაშვილს პირდაპირ აიძულებენ, რომ ამერიკაში ჩავიდეს და გაეროს სესიას დაესწროსო. ჩანაფიქრია, რომ დასავლეთს მარგველაშვილი გააცნონ და ეს შანსი მან უნდა გამოიყენოს, რათა მომავალში მისი ცნობადობა, გააადვილებს რეინკარნირებული „ნაცების" გეგმების სისრულეში მოყვანას.

მამაპაპურად ამას ახუტულ-ჩახუტულებს ეძახიან... ჰოდა, ჩემო ახუტულ-ჩახუტულებო, ერთი კალიგულას სასახლეს რომ ამაგრებს და მე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### სარფის საბაჟოზე ვაზნები აღმოაჩინეს



„სარფის" საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე საბრძოლო ვაზნები აღმოჩინეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

„თურქეთიდან საქართველოში შემომავალი საქართველოს მოქალაქის – ხ.გ-ს ბარგის დათვალიერებისას მებაჟე ოფიცერმა პისტოლეტის 22 ცალი საბრძოლო ვაზნა აღმოაჩინა", – აცხადებენ უწყებაში.

მათივე ინფორმაციით, საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს გადაეცა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### საჯარო უწყებების თანამშრომელთა ნაწილისთვის სამუშაო დღე 09:30 საათზე დაიწყება



მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძის განცხადებით, პირველი სექტემბრიდან თითქმის ყველა საჯარო უწყებას სამუშაო დღე 09:00 საათზე უნდა დაეწყო, თუმცა საჯარო მოხელეთა დიდი ნაწილის მიერ ბავშვების სკოლებში ან საბავშვო ბაღებში დატოვება მათ მიერ ახალი სამუშაო გრაფიკის დარღვევას გამოიწვევდა.

„მთავრობის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ საჯარო მოხელეთა დიდ ნაწილს ჰყავს სკოლამდელი ან სასკოლო ასაკის ბავშვები და ამ ბავშვების სკოლებში ან საბავშვო ბაღებში მიყვანა და დატოვება ბუნებრივად გამოიწვევს მათ მიერ ახალი სამუშაო გრაფიკის დარღვევას. ამიტომ, შიდა რეგულაციების საფუძველზე, მოხდა მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომელთა აღრიცხვა და შესაბამისად, მათთვის სამუშაო დღე 09:30 საათზე დაიწყება.

მთავრობის ადმინისტრაციის მსგავსად, ყველა სახელმწიფო უწყებას აქვს შესაძლებლობა, შიდა რეგულაციის საფუძველზე, მსგავსი გამონაკლისი დაუშვას საკუთარ თანამშრომლებზე", – განაცხადა კობახიძემ. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

ორე, საქართველოს მისადგომებთან ასანთით ხელში გიჟი ნოშრევანივით დარბის, წითელ ხაზზე თამაში თავის დაწვით არ დაასრულოთ.

სააკაშვილმა სარფის მისადგომებთან, წუხილი გამოთქვა, პრეზიდენტი მეჩაგრება და ასევე, ძალიან არ მომწონს, ჩემს გაბუშტულტუჩებიან ბიჭს, ირაკლი ალასანიას თავს რომ ესხმიანო, ამიტომ მიშმაკმა ეშმაკურად შეუთვალა კოალიციის რამდენიმე ლიდერსა და პრეზიდენტს, ახალ გაერთიანებას გთავაზობთ და ჩემთან წამოდითო! ღალატის სეზონი გახსნილია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ჩვენ ბევრჯერ ვნახავთ „გაპუტანკებული" პოლიტიკოსების ძრომიალს „ნაციონალურ მოძრაობასთან". მათ ხომ ფულის სიყვარული აერთიანებთ და არა ქვეყნის ტკივილი.

და მაინც, ირღვევა თუ არა კონსტიტუცია, თუკი იქ წავა პრემიერი და არა პრეზიდენტი? კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი „ალიასთან" კომენტარში განმარტავს, რომ კონსტიტუციის მიხედვით, საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავს და აწარმოებს მთავრობა, მაგრამ პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, ერთსაც შეუძლია საგარეო კურსის წარმართვა და მეორესაც, კონსტიტუციაში არის ხარვეზი, არ არის დაზუსტებული, რა შემთხვევაში ენიჭება პრიორიტეტი პრეზიდენტს და რა შემთხვევაში პრემიერ-მინისტრს. ეს ხარვეზი, ალბათ, გამოსწორდება, თუ პრეზიდენტსაც და პრემიერსაც აქვს მოწვევა, სასურველი იქნება, მოხდეს მათ შორის შეთანხმება და ერთ-ერთი მათგანი გაემგზავროსო.

და მაინც, რატომ არ უნდა წავიდეს მარგველაშვილი საერთაშორისო კონფერენციებზე? მიუხედავად იმისა, რომ მას კონსტიტუციით აქვს უფლება, დაესწროს გაეროს სესიას, პრიორიტეტი ენიჭება მთავრობის ხელმძღვანელს, პრემიერს, თუმცა ამ ფაქტორზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ხელისუფლებაში პრეზიდენტის ნდობის ვოტუმი ნულდება და ის უკვე წარმოადგენს საშიშ ძალას, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, „ოცნებას" მოულოდნელი სიურპრიზის წინაშე დააყენებს და დამოუკიდებელ თამაშს დაიწყებს, ჩვენ მივიღებთ გაერთიანებულ ოპოზიციას, „ნაციონალების", „ალასანიას პარტიისა" და „რესპუბლიკელების" მიქსით, რასაც კიდევ რამდენიმე ახლად შექმნილი პარტია დაემატება და მართვის სადავეებს კვლავ ხელში ჩაიგდებს უკვე სახეცვლილი „ნაციონალური მოძრაობა". მარგველაშვილს იმიტომ აქვს ისტერიული ლტოლვა, დაფიქსირდეს საერთაშორისო ტრიბუნაზე, რომ ვიდრე მსოფლიო თანამეგობრობა, მას არ გაიცნობს, მანამდე ის იქნება ფიტული, რომლის სიტყვასაც არავითარი ძალა არ ექნება. თუკი ის შეძლებს, დასავლეთის თვალში თავის დამკვიდრებას, მაშინ ადვილი იქნება, დასავლეთის დარწმუნება, დაეხმაროს ახალ პოლიტიკურ ძალას, ახალი პოლიტიკური მოზაიკის აწყობაში. ამის მცდელობები უკვე დაწყებულია. „ნაციონალების" მონად წოდებულმა ლუის ნავარომ ბოლო „საჩუქარი" დაუტოვა ქართველ ხალხს და სამოქმედო გეგმა გაშიფრა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი მარგველაშვილი და ირაკლი ალასანია რეიტინგულ ფიგურებად შემოგვტენა. და პრემიერი? ლუის ნავაროს დაავიწყდა, რომ ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტის წევრია ირაკლი ალასანია და თუკი მისი მინისტრები კარგად მუშაობენ და რეიტინგულები არიან, ეს მათი ხელმძღვანელის დამსახურებაა, შესაბამისად, ღარიბაშვილის რეიტინგი კლებადი კი არა, მინიმუმ სტაბილური უნდა ყოფილიყო.

მოკლედ, ასეა თუ ისეა, დიდი ალიაქოთია და კვამლი რომ უცეცხლოდ არ ჩნდება, ამას ფაქტები მოწმობს. ეს არ არის პირველი პრეცედენტი, როდესაც მარგველაშვილი თვითნებურ გადაწყვეტილებებს იღებს, მანამდე იყო საფრანგეთის დაანონსებული ვიზიტი და შემდეგ თურქეთში გამგზავრების საკითხი, თუ ვინ უნდა წასულიყო თურქეთის პრეზიდენტის, ერდოღანის ინაუგურაციაზე, პრემიერი თუ პრეზიდენტი. მოკლედ, 27 მაისს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ საქართველოს პრეზიდენტი, საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის მოწვევით, 14 ივლისს საფრანგეთს ესტუმრებოდა. მარგველაშვილის საფრანგეთის „ვიზიტის" დეტალები არ გახმაურებულა. ახლა კი გეტყვით, რომ მარგველაშვილი პარიზში არავის უნახავს ჩასული, ამის შემდეგ არც თავად მარგველაშვილის ადმინისტრაციას გაუკეთებია განმარტება, თ რატომ შედგა ვიზიტი და არც არავის მოუკითხავს ეს ამბავი. რეალობა კი იყო ის, რომ საფრანგეთიდან არავითარი მოწვევა არ მოსულა მარგველაშვილის სახელზე და არც ასეთი რანგის სტუმრის ჩასვლას ითხოვდა საფრანგეთი. ერთია, რომ პრეზიდენტს უკვე ჩვევაში გადაუვიდა „პაეზდკების" სკანდალი და მეორეა რეალობა. უფუნქციოდ დარჩენილი მარგველაშვილი საერთაშორისოდ დადგენილ წესებს იგნორს უკეთებს და საკუთარი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მეგობარი ქვეყნების შესაბამის უწყებებს, უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. ის ფიქრობს მხოლოდ საკუთარ იმიჯზე, „ნაცბანდიდან" დამკვეთების ინტერესების გატარებაზე და ამას აკეთებს ქვეყნის იმიჯის ხარჯზე. ნიუ-იორკში წასვლა-არწასვლის საკითხიც ძალიან ჰგავს საფრანგეთში არშემდგარ ვიზიტს.

ის თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებებს, წინასწარ აანონსებს ვიზიტებს, რომელიც არც დაგეგმილია და არც შეთანხმებული, შემდეგ კი როდესაც აღმოჩნდება, რომ მარგველაშვილს დაანონსებულ ქვეყანაში არ ელოდებიან, საკუთარი ყოფილი თუ ახლანდელი მრჩევლებისა და თანამშრომლების მეშვეობით დაჩაგრულის მანტიას ირგებს, არადა საქართველოში დაჩაგრულები ძალიან უყვართ, თუმცა ერთი განსხვავებით, მოღალატეებს არ სწყალობენ. ასე რომ, მარგველაშვილი დღეს შეიძლება ხალხს ეცოდება, მაგრამ ხვალ, როგორც კი დამოუკიდებელი თამაშის წამოწყებას შეეცდება, მას შეახსენებენ, რომ ბიძინა ივანიშვილის ხათრით აირჩიეს, რომელსაც უღალატა და მომავლის პერსპექტივასაც მოუკლავენ. იაფფასიანი პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლა შეუმჩნეველი არ რჩება არც ქვეყანაში და არც ქვეყნის გარეთ. მისი ქცევები უკვე გაჯიუტებული ბავშვის ისტერიკებს ჰგავს, რომელსაც შტეფსელში თითის შეყოფას უშლიან.

მარგველაშვილმა ქართველ ხალხს მაშინ შემოულაწუნა, როდესაც ქვეყნის ინტერესებზე მაღლა პირადი კავშირები დააყენა იმ ადამიანთა წრესთან, ვინც „სიკვდილის ესკადრონები" წესად აქცია. მაჭავარიანის ძმის კალიგულას სასახლეში დაჯდომით მან დაამტკიცა, რომ პრეზიდენტების არჩევაში ქართველებს ბედი არ გვაქვს. პრეზიდენტის გარშემო შემოკრებილებმა და სააკაშვილის „სასტავმა" ღიად დაიწყეს თამაში. ღარიბაშვილმა არაერთხელ სცადა მარგველაშვილთან ურთიერთობის დალაგება, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თუ მას არ შეეზღუდება გარკვეული უფლებები, არ არის გამორიცხული, ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტები სააკაშვილისა და „ნაციონალების" ხელში აღმოჩნდეს", მარგველაშვილი უკვე სააკაშვილის მძევალია, მისი სამომავლო მოღვაწეობა ძალიან საშიშ ფორმას იღებს და ამიტომაც, ის უნდა განეიტრალდეს.

ოპოზიცია უკვე პროგნოზირებს, რომ მარგველაშვილი არის „ტროას ცხენი" ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ...

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



**„მარგველაშვილმა ქართველ ხალხს მაშინ შემოულაწუნა, როდესაც ქვეყნის ინტერესებზე მაღლა პირადი კავშირები დააყენა იმ ადამიანთა წრესთან, ვინც „სიკვდილის ესკადრონები" წესად აქცია. მაჭავარიანის ძმის კალიგულას სასახლეში დაჯდომით მან დაამტკიცა, რომ პრეზიდენტების არჩევაში ქართველებს ბედი არ გვაქვს"**



**„ნაციონალების" მონად წოდებულმა ლუის ნავარომ ბოლო „საჩუქარი" დაუტოვა ქართველ ხალხს და სამოქმედო გეგმა გაშიფრა, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი მარგველაშვილი და ირაკლი ალასანია რეიტინგულ ფიგურებად შემოგვტენა და პრემიერი? ლუის ნავაროს დაავიწყდა, რომ ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტის წევრია ირაკლი ალასანია და თუკი მისი მინისტრები კარგად მუშაობენ და რეიტინგულები არიან, ეს მათი ხელმძღვანელის დამსახურებაა"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნაცმოძრაობა" თბილისის პარლამენტში ბიუროს სხდომას პროტესტის ნიშნად არ დაესწრო



საპარლამენტო უმცირესობის წევრები საშემოდგომო სესიის პირველ ბიუროს სხდომას არ დაესწრნენ. თბილისის პარლამენტის განახლებულ შენობაში „ნაციონალური მოძრაობის" წევრები კი მივიდნენ, თუმცა სხდომაზე არ შესულან.

„ბიუროს სხდომის თბილისში ჩატარება კონსტიტუციის დარღვევაა", – აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გოკა გაბაშვილი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ავსტრალია G20-ის სამიტზე რუსეთის დაბლოკვას აპირებს

**The Australian Financial Review**-ის ინფორმაციით, ავსტრალია ნატო-ს უელსის სამიტს გამოიყენებს, რათა „ოცეული" დაითანხმოს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის **G20**-ის სამიტზე მონაწილეობის დაბლოკვაზე.

ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯული ბიშოპის განცხადებით, ის ამ საკითხის განხილვას უელსის სამიტზე აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან და აშშ-ის თავდაცვის მდივან ჩაკ ჰეიგელთან აპირებს.

„დიდი ოცეულის" მომდევნო სამიტი ნოემბერში, ბრისბენში გაიმართება. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალია სამიტის მასპინძელია, ჯგუფის წევრების თანხმობის გარეშე ვერ გადაწყვეტს რომელიმე ქვეყნის ლიდერის მიწვევა-არმიწვევის საკითხს. (პირველი რადიო)

## უკრაინის ანტიტერორისტულმა ძალებმა დონეცკის აეროპორტი დაიბრუნეს



დონეცკის აეროპორტი კვლავ უკრაინის ანტიტერორისტული ძალების კონტროლქვეშ გადავიდა. ამის შესახებ ერთ-ერთმა უკრაინელმა მებრძოლმა „უკრაინსკაია პრავდას" განუცხადა.

„მიუხედავად გაურკვეველი ინფორმაციისა, რომ აეროპორტი დავთმეთ, ჩვენ ისევ აქ ვართ და სრულად ვაკონტროლებთ მთელ აეროპორტს", – განუცხადა „უკრაინსკაია პრავდას" დონეცკის აეროპორტში მყოფმა ერთ-ერთმა მებრძოლმა.

მისივე თქმით, მოწინააღმდეგე მათ ცეცხლს ნაღმტყორცნებიდან და „გრადებიდან" უხსნის.

„გუშინ თავდასხმებმა შედარებით იკლო. თუმცა, ორი დღის წინ აქტიურად გვიტევდნენ, თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ცეცხლს გვიხსნიდნენ „გრადებიდან" და ნაღმტყორცნებიდან", – განაცხადა უკრაინელმა მებრძოლმა.

ამასთანავე, უკრაინულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, უკრაინის სამთავრობო ძალებმა ლუგანსკის აეროპორტიდან უკან დაიხიეს. (ინტერპრესნიუსი)

# მურმან დუმბაძე ღარიბაშვილს უპირისპირდება?

**მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი თურქეთის მხრიდან საჩვენებელ გამოსვლებს აწყობს, აჭარის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოში ერთმანეთს ჭამენ. რატომ დაიწყო დაპირისპირება და ვინ დგას ამ პროცესების უკან?**

**„ალიას“ ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი, უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე ესაუბრა:**

– კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მიხეილ სააკაშვილი არის საერთაშორისო დონის აფერისტი და ავანტიურისტი. ის ყველაფერს წინასწარ გეგმავს. უახლოეს ხანში საქართველოს მოსახლეობა გაიგებს, რაზე აქვთ ხელი მოწერილი სააკაშვილსა და ვარშალომიძეს თურქეთის მხარესთან. დღეს, ფაქტობრივად, მიმდინარეობს აჭარის ოკუპაცია ფინანსურად. ჩვენ რამდენიმე წელიწადში ისე გავხდებით თურქეთზე დამოკიდებული და ამ ქვეყნის ნაწილი, აზრზეც ვერ მოვალთ. ამაზე სააკაშვილის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა ილაპარაკა ერთ-ერთ სასტუმროში, ქართველმა ხალხმა რომ იცოდეს, რაზე მოაწერეს ხელი, ქვეყანაში მაგათ საერთოდ აღარ გაატარებენ, მიწასთან გაასწორებენო.

**— ამ ფონზე, როცა სააკაშვილი იძლევა დავალებებს, თავის ხროვას უტარებს კონსულტაციებს და ქვეყანაში გეგმავს არეულობას, რატომ უპირისპირდებიან ერთმანეთს აჭარის უმაღლესი საბჭო, ანუ მურმან დუმბაძის „სასტავი“ და აჭარის მთავრობა?**

– სანამ მაგაზე გიპასუხებ, ერთი რამის თქმაც მინდა... სააკაშვილმა ჩაიხვია, ნახეთ, რა რიგები დგას სარფის საბაჟოზე, მე რამდენიმეჯერ მთელი შემადგენლობა დავითხოვეო. ჯერ ერთი, საბაჟოზე ტექნიკური პრობლემა შეიქმნა და მეორეც – ძალიან ხშირად იყო რიგები მაგისი მმართველობის დროსაც, მაგრამ ამას ტელევიზიით ვერავინ ნახავდა, არ გააშვებინებდა.

რაც შეეხება აჭარაში მიმდინარე პროცესებს, ალბათ, გახსოვს, მე ამ თემაზე ადრეც ვსაუბრობდი, „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები კლანებადაა დაყოფილი-მეთქი. ჩვენ ვწერდით, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოები დაყოფილი იყო, საამისო ნიშნები იკვეთებოდა. როდესაც ჩვენ ამაზე წერა დავიწყეთ, ირაკლი ღარიბაშვილი ორჯერ ჩამოვიდა აჭარაში, ყველას შეხვდა და მისცა მითითება, ერთმანეთში კინკლაობას თავი დაანებეთ და საქმეს მიხედეთო. ამათ არ ეყოთ ნერვები და ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ განახორციელა საკადრო ცვლილებები. მურმან დუმბაძეს მიაჩნია, რომ ის არის არა მხოლოდ პარლამენტის ვიცე-სპიკერი, არამედ აჭარის ერთპიროვნული მმართველიც. როგორც მითხრეს, ერთ საკითხზე პირდაპირ შეუვარდა კაბინეტში არჩილ ხაბაძეს და უთხრა, შენ თავი აჭარის პირველი პირი ხომ არ გგონიაო? მე არ ვიცავ ხაბაძეს, ის სუსტი ლიდერია, სამაგიეროდ, მურმან დუმბაძეს აქვს გამოცდილება, მას ბევრი პარტია აქვს გამოვლილი და იცის, როგორ დაგეგმოს შიგნით ინტრიგები.





**„საკადრო წმენდა მთლიანად შეეხოთ მურმან დუმბაძის ფავორიტებს, რომლებიც ყველგან ატარებდნენ მის ინტერესებს. ვინაიდან უმაღლესი საბჭო ისედაც მისია – თავმჯდომარით, ავთო ბერიძით დაწყებული, დეპუტატებით დამთავრებული, მისი „სასტავია“, უნდოდა, მთავრობაშიც მოეპოვებინა დიდი გავლენა. ამ ადამიანს ჩაფიქრებული აქვს, რომ უნდა გახდეს აჭარის პირველი პირი, აწუხებს დაუოკებელი ამბიციები“**

**— ჩვენ ვიცით, რომ არჩილ ხაბაძე არის ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი. ახლა რა გამოდის, მურმან დუმბაძე ივანიშვილს უპირისპირდება?**

– არა, თავის დროზე ხაბაძე იყო ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურა, მან შესთავაზა ბიძინა ივანიშვილს.

**— მით უმეტეს, დუმბაძე ღარიბაშვილსაც ეჯახება?**

– ადრეც გითხარი, როგორც კი დუმბაძეს მთავრობაში დასაყრდენი აღარ ეყოლება, ეგრევე დაიწყებს დამოუკიდებელ თამაშს და წავა ოპოზიციაში-მეთქი. დუმბაძემ უკვე დაიწყო ისეთი სვლები, რაც მიუთითებს, რომ მალე გადავა ოპოზიციაში. ერთ მშვენიერ დღეს ის იტყვის: მე ვიბრძოდი, ვკამათობდი, ხალხო, მე ვამბობდი, არ დამიჯერეს და ახლა დადგა დრო, ყველაფერს დაესვას წერტილიო. ჩემი სიტყვები დაიმახსოვრეთ, ეს დღე მალე დადგება. მურმან დუმბაძისთვის სახელისუფლებო კარი ყველგან დაიკეტა. ირაკლი ღარიბაშვილი მას აღარ სწყალობს, გარიყა. დავაკვირდეთ, ბოლოს პრემიერ-მინისტრი სამჯერ იყო ჩამოსული აჭარაში, მის გვერდით მურმან დუმბაძე გინახავს? შარშან ბეშუმში ახლდა ივანიშვილს და ღარიბაშვილს, მაგრამ მას შემდეგ არსად არ გამოჩენილა. ასეთ მდგომარეობას დუმბაძე, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ შეეგუება, ის აუცილებლად გადაიხრება განსხვავებული პოზიციისკენ.

**— რა გამოდის, დუმბაძე თადარიგს იჭერს 2016 წლის არჩევნებისთვის?**

– კი, მან აჭარელი ხალხი „გადააგდო“, მე ის 2012 წლის არჩევნების შემდეგ ხალხთან აღარ მინახავს. ახლა ნახე, როგორ ნაბიჯებს დგამს, რამდენიმე დღის წინ განაცხადა, აჭარის პირველი პირი უნდა იყოს ხალხის არჩეულიო. ამით ამბობს, აჭარის ბედი აჭარამ უნდა გადაწყვიტოს და არა თბილისმაო. პრინციპში, აქ გასაკვირია არაფერია, მან იცის, რომ ეს საკითხი დღეს არის მტკივნეული, მე ამას ვგრძნობ ყველგან, სადაც კი დავდივარ. ვინც კი ამ თემას წამოსწევს, იმას ხალხი გაჰყვება. დუმბაძე უკვე ცდილობს, აქეთ წაიყვანოს საქმე, სინამდვილეში, მისი მხრიდან ეს ბლეფია, მას სჭირდება პოლიტიკური ქულები თავისი კარიერისთვის. ის უფრო ჭკვიანურად მოქმედებს, ვიდრე არჩილ ხაბაძე. აჰა, შენ ჩემს ხალხს შეეხე? მაშინ მე მოგიწყობ იმპიჩმენტს და დავაყენებ საკითხს, რომ აჭარის პირველი პირი იყოს არჩევითი. მე რომ მკითხოს კაცმა, არამხოლოდ მთავრობის იმპიჩმენტის საკითხი უნდა დადგეს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაც, საერთოდ რას აკეთებენ? ან მთავრობა რას აკეთებს? არაფრის მაქნისები არ არიან.

„ნაციონალები“ ჩასაფრებულები არიან, ამით ხეირობენ, ახლა გამოდიან და ამბობენ, თუ მურმან დუმბაძის ხალხი ხაბაძის იმპიჩმენტის საკითხს დააყენებს, ჩვენ არ ჩავერევითო. რა თქმა უნდა, როცა ორი კლანი ეჯახება ერთმანეთს, არ ჩაერევიან, დგანან და ხარობენ. ახლა არ შეიძლება, ყველაფერი ღარიბაშვილს ჩამოვკიდოთ, სადაც რამე მოხდება, ყველგან უნდა ჩაფრინდეს, ყველამ თავისი საქმე რომ აკეთოს და ანგარიშსწორებაზე არ იყვნენ გადასულები, ხომ შეიძლება? ღარიბაშვილმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყვიტოს ამათი კინკლაობის ამბავი, უნდა დაუსვას წერტილი. ვიმეორებ, ამას გამოიყენებს სააკაშვილი, მას უთქვამს, თუ ხელისუფლებაში ვერ მოვალ, ისეთ ამბებს დავატრიალებ, უკრაინა მონაგონი იქნებაო. იმის ნაცვლად, რომ დღეს აჭარის მთავრობა ციტრუსების სეზონზე ფიქრობდეს, გადასულია შიდა ინტრიგებზე. მალე ზამთარი დადგება და იგივე მურმან დუმბაძე დაიწყებს მხრების აჩეჩას, ციტრუსი ვერ გაგვაქვს აჭარიდანო. რას გაიტან, როცა ეს სფერო საერთოდ არავის ახსენდება? სამაგიეროდ, 2016-ში გაახსენდებათ ყველაფერი.

**— თამაზ, იქნებ დავაკონკრეტოთ, ამ წუთას კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე, ანუ რის გამოა ატეხილი ერთი ამბავი აჭარის ხელისუფლებაში?**

– ეს შეხლა-შემოხლა მოჰყვა იმას, რომ არჩილ ხაბაძემ სამსახურებიდან გაათავისუფლა მურმან დუმბაძის რეკომენდაციით დანიშნული ადამიანები, ანუ მისი ფავორიტები. მაგალითად, მერაბ ნარგებაძე, რომელიც იყო სპორტისა და ახალგაზრდული საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარე. განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილე, ქეთევან მანელიშვილი. საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, გვარად დუმბაძე. ამ პიროვნებების განთავისუფლება-არგანთავისუფლების საკითხი დიდი ხანი იდგა დღის წესრიგში. საკადრო წმენდა მთლიანად შეეხოთ მურმან დუმბაძის ფავორიტებს, რომლებიც ყველგან ატარებდნენ მის ინტერესებს. ვინაიდან უმაღლესი საბჭო ისედაც მისია – თავმჯდომარით, ავთო ბერიძით დაწყებული, დეპუტატებით დამთავრებული, მისი „სასტავია“, უნდოდა, მთავრობაშიც მოეპოვებინა დიდი გავლენა. ამ ადამიანს ჩაფიქრებული აქვს, რომ უნდა გახდეს აჭარის პირველი პირი, აწუხებს დაუოკებელი ამბიციები. არადა, რომ არა ბიძინა ივანიშვილი, მას აჭარაში ხმას არავინ მისცემდა. ჩემი ინფორმაციით, 30 აგვისტოს მურმან დუმბაძე თავის „სასტავთან“ ერთად დაბარებული იყო თბილისში. შედგა შეხვედრა ირაკლი ღარიბაშვილთან. ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრთან იმყოფებოდა არჩილ ხაბაძეც, ამის შესახებ ინფორმაცია არსად არ ყოფილა, მაგრამ კულუარებიდან ვიცი. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ირაკლი ღარიბაშვილი სიტუაციას ჩააწყნარებს, მაგრამ ესენი მაინც არ გაჩერდებიან, როგორც კი მომენტს ნახავენ, ისევ დაეტაკებიან ერთმანეთს ძალღებივით.

**გელა ზედელაშვილი**

**555 48-48-61**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ბათუმში რუსეთის მოქალაქე დააკავეს



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ა/რ სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1977 წელს დაბადებული, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე კონსტანტინ ი. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 6 პაკეტად დაფასოებული 13,248 გრ მეტამფეტამინი და 3 შეკვრად დაფასოებული 2,443 გრ მეთილენ-დიოქსი-მეტამფეტამინი ამოიღეს. დაკავებისას კონსტანტინ ი. ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## სოლიდარობის ფონდი პირველ განცხადებებს 5 სექტემბერს განიხილავს



პრემიერის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სოლიდარობის ფონდი, დაფინანსების მსურველთა პირველ განცხადებებს 5 სექტემბერს განიხილავს.

მუდმივმოქმედი კომისიის პირველ სხდომაზე 25 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით მიღებული განცხადებები განიხილება, რის შემდეგაც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნეების მქონე ბავშვების კონკრეტული ფინანსური დახმარების შესახებ.

საქართველოს სოლიდარობის ფონდს უკვე 23 000-ზე მეტი საჯარო მოხელე და ასობით მოქალაქე შეუერთდა. 31 აგვისტოს მონაცემებით, ფონდში მობილიზებულია 124 458 ლარი (ივლისში ჩარიცხულია 30 023 ლარი, აგვისტოში – 94 453 ლარი).

„ყოველთვიური დონაციის შედეგად მობილიზებული თანხით საშუალება გვეძლევა, 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის სრულად დავფაროთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ფინანსური საჭიროებები, რომელიც, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების პარალელურად, ჯერ კიდევ რჩება. დღევანდელი მხარდაჭერა გვარწმუნებს, რომ საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოში შესაძლებელია როგორც ონკოლოგიური, ასევე ეტაპობრივად სხვა მძიმე სნეულებებით მცხოვრები ბავშვებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მობილიზება“, – განაცხადა სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა მარიამ ჯაშმა. (რეპორტიორი)

# რას მოიგებს საქართველო ნატოს სამხედრო-საწვრთნელი ცენტრის შექმნით?

**ნატოს გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, შესაძლოა, საქართველოში ნატოს სამხედრო-საწვრთნელი ცენტრი შეიქმნას. რას წარმოადგენს ეს ცენტრი და რას მოუტანს საქართველოს ნატოს ახალი საწვრთნელი ცენტრის შექმნა?**

**„ალიას“ ექსპერტი სამხედრო საკითხებში გიორგი თავდგირიძე ესაუბრა:**



**— ბატონო გიორგი, რასმუსენის შეთავაზებამ თითქოს დაბნეულობა შეიტანა საზოგადოებაში. მოგვეჩვენა, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის ამ ცენტრის მშენებლობის შესახებ ცნობილი არ იყო და დღეს გაიგეს, ხოლო „ნაციონალები“ თვლიან, რომ ეს ნატოში ინტეგრაციის გზაზე გადადგმული ნაბიჯი არ არის, რადგან შანსი ხელიდან გაშვებულია. სინამდვილეში, რა ცენტრია ეს და რას გვაძლევს?**

– დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ვერანაირად ვერ ვიქნებოდით ინფორმირებული ამ ცენტრის შესახებ, რადგან ეს არ იყო ქართული მხარის შეთავაზება. რასმუსენმა გააჟღერა ის მოსაზრებები, რომლებიც ნატოს პოლიტიკოსებს აქვთ მომზადებული საქართველოსთან მიმართებაში და ეს იქნებოდა მოულოდნელი. ეს არ არის შეთავაზების პაკეტი და არ ნიშნავს, რომ უკვე გადაწყვეტილია საქართველოში ნატოს ცენტრის გახსნა. შეიქმნება ნატოს ჯგუფი და ქართულ მხარესთან ერთად გადაწყვეტს, სად, როდის, რა ფორმით გაკეთდება ეს. თუ ობიექტურად შევხედავთ, საინტერესო და მისაღები შეთავაზებაა. რაც შეეხება პაკეტს, დიდი ნაწილი პაკეტისა, რომელსაც შემოგვთავაზებენ, იქნება საიდუმლო, მაგრამ იქნება ნაწილი, რომელიც იქნება გახმაურებული საქართველოს მოქალაქეებისთვის. უკრაინის მოვლენების ფონზე, არსებობს სკეპტიციზმი უკვე ნატოს სიძლიერის მიმართ და ნატოს მაღალჩინოსნებმა ეს შიში უნდა მოხსნან, რადგან მათ ესმით, რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდა.

ბევრი საიდუმლო თემა არსებობს, ამიტომ ჩვენ ვირჩევთ პოლიტიკოსებს, რომელთათვისაც დელეგირებული გვაქვს ყველა უფლება, ისინი არიან ჩვენი თვალი და ყური, ამიტომ ისინი განსაზღვრავენ, რა არის კარგი და რა – ცუდი. რაც არ უნდა დემოკრატიული იყოს ქვეყანა, არის საკითხები, რომელიც მოსახლეობისგან ფარულად მიმდინარეობს საიდუმლოების რეჟიმში. ამის სრულად აღმოფხვრა და ყველაფრის გამჟღავნება ვერ მოხდება, სახელმწიფოებრივი ინტერესები რომ არ დაზარალდეს.

ეს შემოთავაზება, რაც რასმუსენმა გაამჟღავნა, იქნება პაკეტი, რომელსაც საქართველოს ნატო შესთავაზებს. ქართველმა პოლიტიკოსებმა კი უნდა შეამზადონ ქართველი საზოგადოება, დაარწმუნონ ის, რომ ეს პაკეტი ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია და მხოლოდ ამის შემდეგ ამუშავდება მისი ცალკეული ნაწილები. ამიტომაც გასაგებია, რომ სამიტამდე მხოლოდ ეს ცალკეული ნაწილები უნდა გამჟღავნდეს და არა მთლიანად პაკეტი.

**— რაც შეეხება ცენტრს, ნატოს ინსტრუქტორები ისედაც ჩამოდიოდნენ და უტარებდნენ ხოლმე ქართველ სამხედროებს წვრთნებს, ეს ცენტრი რამე განსაკუთრებულ მისიასთან იქნება დაკავშირებული და მთელ ჯარს გადაგვიმზადებს?**

– ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, გავიხსენებ, რა ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ დროს. გახსოვთ, არსებობდა „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“, როცა იყო უპრეცედენტო შემოთავაზება და მივიღეთ 6 საბრძოლო ბატალიონი. მაშინ ამერიკელი ინსტრუქტორების დახმარებით, მიმდინარეობდა წვრთნები კრწანისის ბაზაზე. ასეთი სწავლებები მეტად არ გამართულა, დანარჩენები იყო მხოლოდ მომზადება გარკვეული ნაწილების. ეს არ იყო საბრძოლო ქვედანაყოფის მომზადება. „ნაციონალების“ დროს ერთგვარი სტილი ჩამოყალიბდა, რომ უსაფრთხოების თემაზე მუშაობდა გარკვეული ინგლისურენოვანი ჯგუფი, რომლებიც ძირითადად ვირტუალური სამყაროთი იყვნენ დაკავებულნი, პასტით და ფურცლით ცდილობდნენ, შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ შეიარაღებულ ძალებში რეფორმა მიმდინარეობდა, ჯარი წინ მიდიოდა. ამ ჯგუფს კარგი საგრანტო უზრუნველყოფა ჰქონდა და ნატოს არწმუნებდნენ, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ცვლილებები ნაბიჯი-ნაბიჯ, მაგრამ ნამდვილად ხორციელდებოდა. ამ დროს სულ სხვა რეალობა იყო და ის იყო პოლიტიზებული „ნაცმოძრაობის“ მხრიდან და ყველა წინსვლა გამოყენებული იყო პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ ეტაპზე ნატოსთვის გასაგებია ის სირთულეები, რაც ჩვენს შეიარაღებულ ძალებშია. დაკარგული 9 წელი, იმიტაცია იმისა, რომ ჯარი კარგად ჩაცმული და აღჭურვილია, უკვე ნათლად აღსაქმელია.

**— აქამდე ჯარს ავღანეთისა და ერაყისთვის წვრთნიდნენ, ახლა რა შეიცვლება ამ ცენტრის შექმნის შემდეგ?**

– აქამდე ყველა წვრთნა ემსახურებოდა კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში ჩასული ჯარისკაცის მიერ უსაფრთხოების ზომების შესწავლას, იმ ტაქტიკური ელემენტების ათვისებას, რომელიც მისიის ფარგლებში იყო აუცილებელი. ანუ გარკვეული სეგმენტი იყო შესწავლილი, მაგრამ სრულად არა. ამ ცენტრის ფარგლებში იქნება მომზადება უმაღლეს დონეზე, რაც ეხება საბრძოლო მომზადებას. ჩვენ გვექნება საშუალება, ოცეულიდან დაწყებული ბატალიონით დამთავრებული, გავწვრთნათ სამხედროები ისე, რომ ყველა ტაქტიკური არსენალის, ყველა საბრძოლო მეთოდის გამოყენება შეძლონ, რომელიც არსებობს სამხედრო თეორიაში და რაც მთავარია, ამას ისინი აითვისებენ პრაქტიკულად და არა წაკითხვის დონეზე.

**— გასაგებია, რომ ცენტრს დადებითი ფაქტორი ჰქონია, მაგრამ იმას რა ვიყოთ, როცა აპრიორში ვიცით, რომ 15-20 წელი ნატოში არ მიგვიღებენ.**

– ეს რიტორიკა გამოწვეულია „ნაციონალების“ განცხადებებიდან, რომელიც გადმოჰყვა „ოცნებასაც“. რეალურად ნატოს გაფართოება თუ არ იგეგმება, ჩვენს ჯარს გაწვრთნა და წინსვლა ხომ სჭირდება? აი, ამ პრიზმაში უნდა დავინახოთ ეს თემა. რეალობა უფრო მნიშვნელოვანია, თუ იდეოლოგიური, უტოპისტური გაწევრიანება? როგორი იქნება შეიარაღებული ძალები, ეს „ნაცმოძრაობას“ არ აინტერესებს, ამ ცენტრის არსებობა სწორედ ჩვენი ჯარის შესაძლებლობების გაფართოებაზეა ორიენტირებული. თან ამაში საინტერესო ის არის, რომ ფულს არ ვხარჯავთ, ანუ ისე მივიღებთ გაწვრთნილ ჯარს, რომ ეს დამატებით თანხებს არ მოითხოვს ბიუჯეტიდან. გეთანხმებით, რომ ნატო აღარ საუბრობს ვინმეს მიღებაზე, რადგან უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ამ ორგანიზაციის ტრანსფორმაციის საკითხი დააყენა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ, როცა ნატო საქართველოზე ამრეზით საუბრობდა, ახლა თვითონაა დაინტერესებული, საქართველო იყოს მის შემადგენლობაში, მაგრამ ახლა რომ დაიწყოს ამაზე საუბარი, ისეთი მოცემულობაა, რომ ამან შეიძლება რუსეთის პროვოცირება მოახდინოს საქართველოს წინააღმდეგ და ნატო არ არის მზად ამისთვის. ნატოს არ აწყობს რუსეთთან სამხედრო მოქმედება. ახლა რაც უფრო ნაკლებად ისაუბრებს ნატო ჩვენზე, მით მეტად დაცულად ვიგრძნობთ თავს.

**— და როცა ამ ცენტრს გააკეთებენ, ეს არ მოახდენს რუსეთის პროვოცირებას, როცა ცალსახად ამბობს პუტინი, რომ ნატოს საქართველოსა და უკრაინაში ვერ მოითმენს?**

– პუტინისთვის უბრძოლველად საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს არსებობა იქნება მისი ძალების სერიოზული შელახვა. ომი, რომელიც შეიძლება მოხდეს მასა და ნატოს შორის, წამგებიანი იქნება ორივესთვის, ამ ომში ვერ იარსებებს გამარჯვებული. სასწავლო ცენტრის გახსნა ნატოს ჯარების შემოსვლა არაა, ამიტომ მხოლოდ სიტყვიერ პროტესტს გამოიწვევს. თუ ამის გამო რუსეთი დაიწყებს მოქმედებებს აგრესიის გასაფართოებლად, ეს დააჩქარებს საქართველოს შესვლას ნატოში, შემოვა ნატოს წევრი ქვეყნების ჯარები და ამიტომ, რუსეთი ფრთხილად იქნება.

**— ნატო-რუსეთის ომი მოსალოდნელია? ლიტვის პრეზიდენტი ამბობს უკრაინას შეიარაღებული დახმარება უნდა გავუწიოთო, ესე იგი, ღია გამოწვევას უკვე აქვს ადგილი?**

– ეს ან მედიის შეცდომა მგონია, ან სხვა რამე ხდება, თორემ არ მგონია, ლიტვას ეს დამოუკიდებლად გაეჟღერებინა, თანხმობას კი ნატო ვერ მისცემდა. ლიტვა სამხედრო ბლოკის წევრია და მისი ქვედანაყოფები უკრაინაში ვერ შევლენ. ამით რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს და ვერანაირ დახმარებას ვერ აღმოუჩენს უკრაინას. ასევე, პროვოკაციასთან გვაქვს საქმე, როცა მსოფლიოს მოუწოდებენ, უკრაინა იარაღით მოამარაგონ. ნებისმიერი სამხედრო დახმარება სამხედრო მოქმედების პროვოცირებას მოახდენს, რადგან იქნება უზარმაზარი მსხვერპლი.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## ლიტვა უკრაინის აღმოსავლეთში ჯარისკაცებს გაგზავნის

ლიტვის პრეზიდენტის, დალია გრიბაუსკაიტეს განცხადებით, მისი ქვეყანა მზად არის, უკრაინას შეიარაღებული დახმარება გაუწიოს აღმოსავლეთ რეგიონებში, ლუგანსკსა და დონეცკში არსებული კონფლიქტის გადასაჭრელად.

ლიტვის ლიდერის განცხადებით, უკრაინა რუსეთს მთელი ევროპის ნაცვლად ებრძვის, სწორედ ამიტომ უნდა მიიღოს მაქსიმალური დახმარება ევროკავშირისგან. ამასთანავე, გრიბაუსკაიტემ აღნიშნა, რომ მიღებულ უნდა იქნას „რაც შეიძლება მეტი“ სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, მათ შორის „სრული სამხედრო ემბარგო“ და არა მხოლოდ აკრძალვა ახალ სამხედრო კონტრაქტებზე. (ნიუპოსტი)

## კომოროვსკიმ პუტინი ჰიტლერს შეადარა



პოლონეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინი ჰიტლერს შეადარა. უკრაინული მედიის ცნობით, ამის შესახებ კომოროვსკიმ მეორე მსოფლიო ომის დაწყების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა. პოლონეთის პრეზიდენტმა ევროპა იმპერიული ამბიციების შესახებაც გააფრთხილა და საერთაშორისო პარტნიორებს მოუწოდა, არ გაიმეოროს წარსული შეცდომები. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოკუპანტებმა საქართველოს სამი მოქალაქე ცხინვალის იზოლატორიდან გაათავისუფლეს




ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებული საქართველოს სამი მოქალაქე, ცხინვალის იზოლატორიდან გაათავისუფლეს.

დაკავებულებმა განთავისუფლების სანაცვლოდ 2 000-2 000 რუბლიანი ჯარიმები გადაიხადეს.

„ნაკვეთზე ქერის აღების პროცესში შემოცვივდნენ შეიარაღებული მესაზღვრეები, მოგვიშვირეს ავტომატები, მიწაზე დაგვაწვინეს, ბორკილები დაგვადეს, იქვე მანქანაში ჩაგვსვეს და წაგვიყვანეს“, – აცხადებს ერთ-ერთი გატაცებული, თენგიზ ბუჯიაშვილი.

განთავისუფლებულების თქმით, საზღვარი ქართველებმა კი არა, რუსმა მესაზღვრეებმა დაარღვიეს. (ფრონტნიუსი)

სარფში სააკაშვილმა შეხვედრა წარსულთან გაითამაშა, „აბა, დამიჭირეთო“, და ლევან ვარშალომიძესთან ერთად თურქეთიდან საბერძნეთში „მოხია“. სააკაშვილს მუშაობის ასეთი სტილი აქვს, მის ბაქიბუქს ყოველთვის მოჰყვება თავდავიწყების მორევში გადავარდნა. ამჯერადაც „გაღლეტილმა“ სააკაშვილმა საბერძნეთის კუნძულებზე გასეირნება გადაწყვიტა, მაგრამ ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი მახეში გაება, მისი პასპორტი დატესტილია, სააკაშვილზე ნადირობის სეზონი საბერძნეთმა გახსნა. 1-ელ სექტემბერს, გვიან ღამით, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი საბერძნეთის კუნძულზე დააკავეს და ამ ინფორმაციას, საბერძნეთში მცხოვრები ქართველები ავრცელებდნენ. 2 სექტემბერს ინფორმაცია უკვე საქართველოს ელჩ- დიმიტრი კაპაკიდისმა ელჩს პირადად მიაწოდა ინფორმაცია, რომ 1-ელ სექტემბერს, 18:00 საათზე, თურქეთის მხრიდან, კუნძულ სამოსზე შევიდა ბრიტანეთის დროშის ქვეშ მცურავი იახტა, რომლის ბორტზეც საქართველოს მოქალაქეები, მათ შორის მიხეილ სააკაშვილი და ლევან ვარშალომიძე იმყოფებოდნენ. სასაზღვრო კონტროლის დროს მიხეილ სააკაშვილის პასპორტის შემოწმებისას გამოჩნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მხარის მიერ შესულია

**„სააკაშვილმა მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ მას იმხელა ძალაუფლება აქვს, შეუძლია საქართველოს საზღვარზე ჩაატაროს ასეთი ტიპის პარტიული შეკრება. ასეთი პიარსვლები მისთვის საყვარელი მეთოდია, მაგრამ ეს პიარსვლა არ არის, რომელიც იქნება შედეგზე ორიენტირებული. საზოგადოების გადამწყვეტი ნაწილისთვის ამ პიარსვლამ არ იმუშავა“**



# ვინ ახლდა სააკაშვილს საბერძნეთში დაკავებისას და რას ასაიდუმლოებს საბერძნეთის პოლიცია



**„იახტა, რომლითაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აჭარის მთავრობის ექსთავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე თურქეთიდან საბერძნეთის მიმართულებით მგზავრობდნენ, კუნძულ სამოსზე ოთხი საათით შეაყოვნეს... იახტაზე იმყოფებოდნენ ქალბატონები, რომელთა ვინაობა რიგი მიზეზების გამო კონფიდენციალური რჩება“**

მა საბერძნეთში, დავით ბაქრაძემ დაადასტურა. იახტა, რომლითაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აჭარის მთავრობის ექსთავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე თურქეთიდან საბერძნეთის მიმართულებით მგზავრობდნენ, კუნძულ სამოსზე ოთხი საათით შეაყოვნეს. სამოსის პოლიციის განყოფილების უფროსმა, მოთხოვნა პირის დაკავებასთან დაკავშირებით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ პროცედურები დასრულებული არ არის, საბერძნეთს არ ჰქონდა დაკავების საფუძველი. საბერძნეთის სამართალდამცავების ინფორმაციით, გემი უკან გაბრუნდა თავისი ეკიპაჟის შემადგენლობით.

„ალიასთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, ძვირადღირებული იახტა მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის და მასზე იმყოფებოდნენ ქალბატონები, რომელთა ვინაობა რიგი მიზეზების გამო კონფიდენციალური რჩება.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ „კვირის ქრონიკა“ წერდა, რომ სააკაშვილს ძვირადღირებული იახტა ჰყავდა, სადაც არნახულ დაბადების დღეებს უხდიდა თავის ფავორიტ ქალებსა თუ მეგობრებს, მათ შორის მისი ფრანგი მრჩევლის გვარმაც გაიჟღერა, თუმცა გლუკსმანმა მაშინ იხუმრა, გამოცემას დაავიწყდა იმის დაწერა, რომ იახტაზე კოკაინის გორა გვქონდა და ბევრი ქალიც გვყავდაო. გლუკსმანის ხუმრობა დღეს უკვე რეალობაა, კოკაინმყნოსველად არაერთხელ მონათლული მიშიკო, ქალებთან ერთად, საკუთარ იახტაზე გაფაქტეს. სააგენტო „რეპორტიორი“ ავრცელებს ინფორმაციას, რომ სააკაშვილი საბერძნეთში დაკავებისას კერძო იახტა **ALIYONI**-ით გადაადგილდებოდა. 12 პერსონაზე გათვლილი ფეშენებელური იახტა 2012 წელს არის აგებული და მისი ღირებულება დაახლოებით 15 მილიონ ლარს შეადგენს. საზღვაო ტრანსპორტის ნაკადების გადაადგილების რუკაზე ჩანს, რომ იახტა **ALIYONI** თურქეთის ტერიტორიულ წყლებში, იზმირის მახლობლად, დაახლოებით 15 საათის წინ იმყოფებოდა. ინფორმაციების პარალელურად სააკაშვილის სააგენტოებმა გამოაქვეყნეს ფოტო, სადაც თითქოს სააკაშვილი, ცოლ-შვილთან ერთად, თურქეთის აეროპორტის მოსაცდელში იჯდა, ვითარცა უმანკო. ფოტო ვერ გამოდგა მიშიკოს ტყუილის „გამპრავებლად“ და ვერ მოხდა ამ სკანდალური ფაქტის გადაფარვა.

ექსპერტი მამუკა არეშიძე, „ალიას“ კითხვებს პასუხობს:

– ის, რაც საბერძნეთში მოხდა, ცოტა უცნაურია, რადგან სააკაშვილი ინტერპოლის ძებნაზე გადაცემული არ არის. მე არ ვარ საერთაშორისო სამართლის იურისტი და აქედან გამომდინარე, გამიჭირდება თქმა, რა ტიპის გზავნილი იყო დასავლეთში და დანარჩენ მსოფლიოში საქართველოს პროკურატურიდან გასული, რომლის მიხედვითაც სააკაშვილი დააკავეს, მაგრამ ფაქტია, რომ იყო ასეთი გზავნილი, თუმცა რა სახისაა ის, ამას მე ვერ მოგახსენებთ. რამდენადაც ვიცით, იახტა, რომელზეც სააკაშვილი იმყოფებოდა, ბრიტანეთის დროშის ქვეშ ცურავს. როგორც ჩანს, სასაზღვრო შემოწმების დროს მისი გვარი ამოვარდა, მაგრამ, თუ ის დააკავეს, შემდეგ პროცედურა რატომ არ გაგრძელდა, გაუგებარია. ასევე გაუგებარია, რა მიზნით ჰყავდათ გაჩერებული 4 საათის მანძილზე, შესამოწმებლად თუ სხვა რამ მოხდა, ესეც დაუდგენელია. მთელ ამ ისტორიაში, ალბათ, ეს არ არის მთავარი, მთავარი არის ის, საქართველოს პროკურატურა აპირებს თუ არა ძებნაში გამოაცხადოს შესაბამისი ნორმების მიხედვით სააკაშვილი, თუ მუდმივად ასეთი იწილო-ბიწილო მდგომარეობა იქნება.

– მთავარმა პროკურატურამ უკვე მიმართა ინტერპოლის გენერალურ სამდივნოს სააკაშვილზე ძებნის გამოცხადების თაობაზე, ამ ეტაპზე საკითხი განხილვის სტადიაშია, მაგრამ აქ არის ერთი საინტერესო ფაქტი, სააკაშვილი გადაადგილდებოდა არა გემით, არამედ იახტით, რომელიც არის პრივატული და არა საყოველთაო გადაადგილების ტრანსპორტი. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილი სწორედაც საკუთარი იახტით გადაადგილდებოდა. არადა, ეს კაცი მუდმივად თავს გვაცოდებს, რომ ბილეთს ვერ ყიდულობს. სხვათა შორის, ამ იახტაზე საბერძნეთის პოლიციელებმა აღმოაჩინეს ქალები. საბერძნეთის პოლიციიდან გვაქვს ინფორმაცია, რომ ამ ქალბატონებმა კატეგორიულად მოითხოვეს, მათი ვინაობა არ გამჟღავნებულიყო. სააკაშვილმა საქართველოს საზღვართან სიტყვა დატოვა, ფეხებსაც ვერ მომჭამთო და შუა ზღვაში „საგულაოდ“ გადაეშვა. მაშ ასე, რას ემსახურებოდა სარფის ხმაურიანი შოუ.

– სააკაშვილს აქვს იმის შესაძლებლობა, რომ პრივატული იახტით

*გაგრძელება მე-12 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## როდის დაიკლებს საწვავზე ფასები?

მსოფლიო ბირჟაზე ნავთობის ფასი დაეცა და ბარელზე 95.64 დოლარს შეადგენს. ეკონომიკის ექსპერტის ლევან კალანდაძის განცხადებით, ეს იმ მიზეზით ხდება, რომ ამერიკამ საკუთარი სანავთობო რეზერვის გახსნის გადაწყვეტილება მიიღო. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი უკავშირდება ირანს, როგორც ნავთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომპოვებელ ქვეყანას. ბოლო პერიოდში შტატების მეტ-ნაკლებად ლიბერალური პოლიტიკა ირანული ნავთობის მიმართ გახდა წინაპირობა იმისა, რომ ოპეკის წევრი ქვეყნების ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასი შემცირებულიყო. ასევე, ეს არის გარკვეული პოლიტიკური მანევრი, რომელსაც დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ ახორციელებს, რადგან რუსეთის შემოსავლების უდიდესი ნაწილი სწორედ ენერგომატარებლების შემოსავალზეა დამოკიდებული.

რას გეგმავენ ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიები?

„ლუკოილის“ გენერალური დირექტორის მოადგილე შავლეგო მიშელაძე აცხადებს, რომ, თუკი ნავთობზე ფასის კლების ტენდენცია გაგრძელდება, ან არსებული ფასი შენარჩუნდება, ეს მათ



ფასებზეც აისახება. „როგორც კი საშუალება გვექნება, რა თქმა უნდა, ისევ შევამცირებთ ფასს. ჩვენ ცალსახა ინტერესი გვაქვს, რომ ფასებმა რაც შეიძლება მოიკლოს, რათა ჩვენ მეტი საწვავი გავყიდოთ. ჩვენ გვაქვს სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს, რომ, როგორც კი ორი ან ხუთი თეთრით მოიმატებს საწვავის ფასი, მეორე დღეს რეალიზაცია საგრძნობლად ნაკლებია, ამიტომ ჩვენს ინტერესებშია ფასების კლება“.

დამაიმედებელი პროგნოზი აქვთ კომპანია „გალფშიც“. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო ჯიბლაძის განცხადებით: „ახალი მარაგები გვაქვს და ვიდრე მისი რეალიზაცია არ მოხდება, ფასი, ბუნებრივია, არ შეიცვლება. მეორე შეკვეთისას, ბუნებრივია, გათვალისწინებული იქნება ფასები მსოფლიო ბაზარზე არსებული ღირებულების მიხედვით“.

*შორენა გოგოლაძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## უკრაინის ტერიტორიაზე 10-15 ათასი რუსი სამხედრო იმყოფება



წინასწარი მონაცემებით, უკრაინის ტერიტორიაზე 10-15 ათასი რუსი სამხედრო იმყოფება. ამის შესახებ უკრაინის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს პრესსპიკერმა ანდრეი ლისენკომ განაცხადა.

მისივე თქმით, კონკრეტულ ციფრს ვერ დაასახელებს, რადგან რუსი სამხედროების ნაკადი უკრაინის ტერიტორიაზე ყოველდღიურად შემოედინება.

როგორც ანდრეი ლისენკომ აღნიშნა, რუსეთის შეიარაღებული ძალების ოთხი ტაქტიკური ჯგუფი, რომლის თაობაზეც ინფორმაცია გუშინ გაავრცელა, მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში შევიდა უკრაინის ტერიტორიაზე. (ინტერპრესნიუსი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*



გადაადგილდებოდეს, მაგრამ სააკაშვილი მუდმივად წუწუნებს და თავს გვახვევს, რომ მას ფული არ აქვს, ეს არის ქართველი მოსახლეობის მიმართ ცინიზმი. წინა ხელისუფლებამ ეკონომიკური თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მოსახლეობა და იმის ლაპარაკი, თითქოს სააკაშვილს ბილეთის ფული არ აქვს, არ შეიძლება. რაც შეეხება თვითონ სარფის შეხვედრას, ეს თავისთავად საინტერესო იყო იმიტომ, რომ სააკაშვილმა მოახდინა დემონსტრირება იმისა, რომ მას იმხელა ძალაუფლება აქვს, შეუძლია, საქართველოს საზღვარზე ჩაატაროს ასეთი ტიპის პარტიული შეკრება. ასეთი პიარსვლები მისთვის საყვარელი მეთოდია, მაგრამ ეს პიარსვლა არ არის, რომელიც იქნება შედეგზე ორიენტირებული. საზოგადოების გადამწყვეტი ნაწილისთვის ამ პიარსვლამ არ იმუშავა.

**„დიპლომატები ჩვენთან შეხვედრისას თავს აღარ იკავებენ და პირად საუბრებში პირდაპირ ამბობენ, რომ ის, რაც ხელისუფლების წევრებს შორის ხდება, სასაცილოა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელების კინკლაობას ჰგავს. პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირება მიუღებელ ფორმებს იძენს. ბოლოს და ბოლოს, რა ვერ გაირკვა, ვინ სად უნდა წავიდეს და ვინ სად და როგორ უნდა წარადგინოს საქართველო“**

– სააკაშვილმა საინტერესო მესიჯები გაგზავნა, – ყველას, ვისაც ეს ხელისუფლება არ მოგწონთ, ჩემს პარტიაში წამოდითო. რისთვის ემზადება სააკაშვილი და რას უნდა ველოდოთ მარგველაშვილისა და ალასანიას მხრიდან?

– ეს მეთოდი უკვე მოძველებულია, ამ ხერხს ყოველთვის ყველა მიმართავდა. სამწუხაროდ, ის, რაც დღევანდელი ხელისუფლების წევრებს შორის ხდება, არის ჩემთვის მიუღებელი და სააკაშვილი ამით სარგებლობს. სააკაშვილი ამ განცხადებით ხაზს უსვამს, რომ ხელისუფლების წევრებს შორის დაპირისპირება ყველასთვის ცნობილია და ამ დაპირისპირებას აქვს მასშტაბური სახე. ქართველი საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც დაინტერესებულია სააკაშვილის ნააზრევით, სააკაშვილი უმტკიცებს, რომ დაპირისპირება ხელისუფლების წევრებს შორის მითი არ არის. ძალიან კარგად იცის სააკაშვილმა, რომ არც ალასანია და არც მარგველაშვილი მის პარტიაში ფეხის შემდგმელები არ არიან, მაგრამ ეს სჭირდება პიარსვლებისთვის. რაც შეეხება რეალურ პრობლემას, სამწუხაროა ის, რაც ხელისუფლების წევრებს შორის ხდება, არ არის ერთი გუნდი, არსებობს ვიწრო პარტიული ინტერესები და არსებობს პიროვნული დაპირისპირება. ეს ყველაფერი უკვე ისეთ ფორმატშია გადასული, რომ არასერიოზული სახეც კი აქვს. დიპლომატები ჩვენთან შეხვედრისას თავს აღარ იკავებენ და პირად საუბრებში პირდაპირ ამბობენ, რომ ის, რაც ხელისუფლების წევრებს შორის ხდება, სასაცილოა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელების კინკლაობას ჰგავს. პრეზიდენტისა და პრემიერის დაპირისპირება მიუღებელ ფორმებს იძენს. ბოლოს და ბოლოს, რა ვერ გაირკვა, ვინ სად უნდა წავიდეს და ვინ სად და როგორ უნდა წარადგინოს საქართველო.

– პრემიერ-მინისტრს ხომ არ აქვს ინფორმაცია, რომ მარგველაშვილის უკან „ნაციონალური მოძრაობა“ დგას? შესაბამისად, ხომ არ არსებობს იმის შიში, რომ ის დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს წამოიწყებს და მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე შეიქმნება დიდი ოპოზიციური კოალიცია, სადაც ალასანიას პოლიტიკურ პარტიასაც ვიხილავთ.



„მარგველაშვილს ნათქვამი აქვს, მე იმ სასახლეში ფეხის შემდგმელი არ ვარო... ამ სიტყვებიდან ძალიან მალე შეცვალა თავის გადაწყვეტილება. ამას დაემატა სხვა ფაქტორი, რამაც დაპირისპირების რეჟიმი შექმნა, გაიშიფრა მარგველაშვილის შეხვედრები „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთ წარმომადგენელთან, ბევრმა ფაქტორმა განაპირობა მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება“

– შეიძლება ამის ელემენტები არის და ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ, ხმები მომდის, მაგრამ მთავარი მაინც პიროვნული დაპირისპირების თემაა. ეს პიროვნული დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, როცა მარგველაშვილი პრეზიდენტის სასახლეში შევიდა. მე ხომ ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, მარგველაშვილს ნათქვამი აქვს, მე იმ სასახლეში ფეხის შემდგმელი არ ვარო... ამ სიტყვებიდან ძალიან მალე შეცვალა თავისი გადაწყვეტილება. ამას დაემატა სხვა ფაქტორი, რამაც დაპირისპირების რეჟიმი შექმნა, გაიშიფრა მარგველაშვილის შეხვედრები „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთ წარმომადგენელთან, ბევრმა ფაქტორმა განაპირობა მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, მარგველაშვილი შეხვდება თუ არა ასეთი ტიპის ადამიანებს მაშინ, როცა ჩვენს წინ თანამდებობებზე ინიშნებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც სასტიკი დანაშაული აქვთ ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი. რა ახსნა აქვს იმ ფაქტს, რომ დღემდე წამყვანი ფიგურაა საგამოძიებო სისტემაში პიროვნება, რომელიც ლაფანყურის სისხლიანი ოპერაციის გამოძიების საქმეში უშუალოდ მონაწილეობდა. კახეთის პროკურორად დანიშნულია კაცი, რომელმაც ადამიანს არშემდგარი მკვლელობისთვის სასჯელი მიუსაჯა, ხოლო „მოკლული“ თავისი ფეხით მივიდა სახლში. ხომ გახსოვთ, ეს სკანდალური ისტორია. ეს პიროვნებაა დღეს რეგიონის მთავარი პროკურორი. მე არ ვიცი, ეს ხელისუფლება ამ გზით რატომ მიდის. ზოგჯერ მგონია, ამას სპეციალურად აკეთებენ ის ადამიანები, ვისაც ხელისუფლების დისკრედიტაცია უნდათ. ხან მგონია, რომ ხელისუფლებაში სტალინის პრინციპით მოქმედებენ, როდესაც ლენინის დაპატიმრებაზე ხელისმომწერი ვიშინსკი სტალინმა გენერალურ პროკურორად დანიშნა. მაგრამ ესეც შეიძლება იშვიათ შემთხვევაში გააკეთო, როდესაც გყავს განსაკუთრებული კადრი, როცა სხვისი ხელით ნარის მოგლეჯა გსურს, მაგრამ როდესაც ეს მასობრივ ხასიათს იღებს და ყოველგვარ საზღვარს სცილდება, ამაზე უკვე პასუხი არ მაქვს.

– როგორ ფიქრობთ, რა ფასს გადაიხდის საქართველოს ხელისუფლება, თუკი ინტერპოლმა სააკაშვილი დააკავა?

– ახლა რასაც ვიტყვი, მინდა ყველამ კარგად გაიგოს ჩემი ნათქვამი, თუ ჩვენ მეგობრებთან გაგვირთულდება ურთიერთობები, შეიძლება სააკაშვილის დაკავება არც კი ღირდეს. მე არ ვამბობ, რომ აუცილებლად ასე მოხდება, საქართველოში დღეს იმყოფება უდიდესი პოლიტოლოგი – ფრანცის ფუკუიამა, რომელმაც თავის გამოსვლაში თქვა, რომ სააკაშვილი იყო უდიდესი პოლიტიკოსი საქართველოში. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ნაციონალები“ სპეციალურად ამზადებენ ამ რანგის ადამიანებს საქართველოში ჩამოსვლამდე. რაც „ნაციონალებს“ დაემართათ, ეს იყო მათი ბრალი და დანაშაულიც საკუთარ თავში უნდა ეძებონ, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობასთან უფრო აქტიური მუშაობაა საჭირო, რომ მათ აუხსნან, რას სჩადიოდა „ნაციონალური მოძრაობა“ წლების მანძილზე, როგორ მოვიდნენ დემოკრატიის ნიღბით და როგორ იქცნენ ურჩხულებად.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვის უჩივლებს ეკა ბესელია ცილისწამებისთვის?

29 აგვისტოს, ღამით, ავლაბრის მეტროსთან, „სკაი ბარის“ ახალგაზრდა დიჯეი, დაჩი დარჩია მოკლეს. მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობაში ბრალდებულმა მიხეილ გამყრელიძემ დანაშაული აღიარა, მედიითა და სოციალური ქსელებით ერთი ამბავი ატყდა, რომ ამ საქმეში „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ეკა ბესელიას ვაჟი, რატი მილორავა იყო გარეული. ამტკიცებდნენ, რომ ის ვიღაცებმა „სკაი ბარში“ ნახეს, ვითომ მას დაჩი დარჩიასთან უთანხმოება მოუვიდა. ახლა კი ირკვევა, რომ რატი მილორავა მკვლელობის დღეს არათუ „სკაი ბარში“, საერთოდ, თბილისშიც კი არ იმყოფებოდა. ეკა ბესელია, იმ მედიასაშუალებებსა და სოცქსელის მომხმარებლებს, რომლებიც მის შვილს ცილს სწამებდნენ, სასამართლოში უჩივის.

**„ალია“ დეტალების დასაზუსტებლად ეკა ბესელიას დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო ეკა, კონკრეტულად ვის უნდა უჩივლოთ სასამართლოში?**

– ჯერჯერობით, იურისტები მუშაობენ, სწავლობენ, სად რა იწერებოდა, სად როგორ შუქდებოდა ჩემი შვილის შესახებ ცილისმწამებლური ინფორმაციები თუ სიუჟეტები და ამზადებენ მასალებს, სად, რომელ კონკრეტულ შემთხვევებში ჰქონდა კანონდარღვევებს ადგილი, პატივისა და ღირსების შელახვასა და ცილისწამებას. ამის გარკვევას რამდენიმე დღე დასჭირდება. ამის შემდეგ დავადგენთ, რომელი მედიასაშუალებების წინააღმდეგ შევიტან სარჩელს, რომელი ტელევიზიებისა და სააგენტოების წინააღმდეგ. გარდა ამისა, სოციალური ქსელების მომხმარებელთა წინააღმდეგაც შევიტან სარჩელს, ვგულისხმობ, კონკრეტულ პირებს. ეს ადამიანები დღეების განმავლობაში ავრცელებდნენ ტყუილებს და არავის არაფერს შევარჩენ. აუცილებლად გაიმართება სასამართლო პროცესები.

**— რას მოითხოვთ მათგან, ვისაც უნდა უჩივლოთ? მარტო ბოდიშის მოხდას თუ ფულად კომპენსაციასაც?**



– ჩემთვის მთავარია ამ მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა და კონკრეტულმა პირებმა სოცქსელებიდან, ოფიციალურად უარყონ ცილისწამება, რასაც ჩემი და ჩემი შვილის წინააღმდეგ ავრცელებდნენ, ბოდიში მოიხადონ ამ ყველაფრისთვის. მთავარია, სასამართლოში ამტკიცონ ის სისულელეები, რის სიმართლედ გასაღებასაც ცდილობდნენ ამდენი ხნის განმავლობაში. მავანმა უნდა გაიგოს, რომ არსებობს წითელი ხაზები, რომელთა გადალახვაც არ შეიძლება, ახალგაზრდა ადამიანის ფსიქიკაზე ამხელა დარტყმის სრულიად უსაფუძვლოდ მიყენება, ეს დანაშაულია და დამნაშავემ პასუხიც უნდა აგოს. აი, ეს არის მთავარი. რაც შეეხება ფულად კომპენსაციას, არ გამოვრიცხავ, რომ ესეც მოვითხოვო, თუმცა ეს მეორეხარისხოვანია ჩემთვის, მთავარი სასამართლოს გზით სიმართლის დადგენაა და ამ სიმართლეს აუცილებლად დავადგენ. ეს ხალხი, ცილისმწამებლები, „ნაცმოძრაობისგან“ იმართებიან და ეს ყველამ იცის. არ მიკვირს ეს ყველაფერი, თუმცა, ძალზე ამაზრზენ რაღაცებს კადრულობენ. იციან, მე არ შევწყვეტ ბრძოლას „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე ლიდერების წინააღმდეგ, არ შევიცვლი რიტორიკას, არ დავუთმობ მათ არაფერს და ბოლომდე პრინციპული ვიქნები.

*ლევან ჯავახიშვილი*

## „ნეტა, ვინ იქნება შემდეგი?..“ – ტყვიავში ეჭვობენ, რომ ხელისუფლება ოქრუაშვილს მფარველობს



თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის იასონ ჩიხლაძის, მეტსახელად „ვოლკის“ დედა ეკატერინე ჩიხლაძე ირაკლი ოქრუაშვილის მიერ „ქართული ოცნების“ აქტივისტების ცემის ფაქტზე საუბრობს. ის ამბობს, რომ აღნიშნული ფაქტით მთელი სოფელი შეშფოთებულია.

ეკატერინე ჩიხლაძე თავდაცვის ყოფილ მინისტრსა და ამჟამად „ქართული პარტიის“ ლიდერს ირაკლი ოქრუაშვილს ტყვიავში მისი კუთვნილი საცხოვრებელი სახლის დაწვაში ადანაშაულებს. ჩიხლაძე მიიჩნევს, რომ მისი სახლის დაწვა შურისძიების მიზნით ოქრუაშვილმა თანასოფლელ და მასთან დაახლოებულ ჯიმშერ კაპანაძეს დაუკვეთა, რომელიც ფინანსური პოლიციის ყოფილი თანამშრომელია. ჩიხლაძეებს ტყვიავში ერთი და იგივე სახლი ორჯერ დაუწვეს. 2011 და 2013 წლის ნოემბერში. თუმცა დანაშაული ამ დრომდე არ გახსნილა.

„მაინც არ გავჩერდები. სახლი ორჯერ დამიწვეს. პოლიცია საქმეს არ ხსნის. ბადაშვილთან მქონდა წერილი გაგზავნილი, მაგრამ ისევ გორს გადმოუგზავნეს. ეჭვი მაქვს, რომ ჩემი სახლის დაწვა ირაკლიმ შეუკვეთა ორივეჯერ. ჩვენ ქონება არ გვაქვს და არც ბიზნესები, ამით მოინდომა ჩვენი გამწარება. ჩემს შვილს „ესემესები“ გაუგზავნა, ემუქრებოდა სახლს დაგიწვავო, ოჯახს ამოგიწყვეტო. მერე საქმის გასარჩევად იბარებდნენ საფრანგეთში ეგ და სოსო გიგუაშვილი. ეხლა საკრებულოს წევრია. სიით გავიდა, თორემ მაგას ვინ აირჩევდა? არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ერთი ის ვიცი რომ სამართალი სანამ არ იზეიმებს, არ გავჩერდები“, – ამბობს ჩიხლაძე და სოფელ ტყვიავში გასულ კვირას მომხდარ ინციდენტს ეხმაურება, რომელშიც ოქრუაშვილი მონაწილეობდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ოქრუაშვილი „ქართული ოცნების“ ორ ტყვიაველ მხარდამჭერს ავტომანქანით გაეკიდა და ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა.

„რაც ეს ამბავი მოხდა, მთელი სოფელი შეშფოთებულია. ნეტა ვინ იქნება შემდეგი... ოქრუაშვილს, ალბათ, ამ ხელისუფლებაშიც ჰყავს მფარველები. ჩემი სახლის დაწვა ხომ შერჩა და ეს ამბავიც, ალბათ, შერჩება“, – აცხადებს ეკატერინე ჩიხლაძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ირაკლი ოქრუაშვილი ეკატერინე ჩიხლაძის შვილიშვილის ნათლიაა. *(newpost.ge)*

## ნინი ბადურაშვილი დროს შვილთან და დისშვილთან ერთად ატარებს



მომღერალი ნინი ბადურაშვილი ზაფხულს საქართველოში ატარებს და რამდენიმე კონცერტში მიიღო მონაწილეობა.

მთელ თავის თავისუფალ დროს მცხეთაში შვილთან და დისშვილთან ერთად ატარებს. ელენე კუტალაძე უკვე დიდი გოგოა და ნინის „ფეისბუკის“ მეგობრები მის მიმართ გულგრილები ვერ რჩებიან.

ცოტა ხნის წინ ნინიმ საკუთარ „ფეისბუკზე“ ვიდეო დადო, სადაც მისი ახალი სიმღერის ნაწყვეტი იყო და დაგვპირდა, რომ უახლოეს მომავალში ძალიან მაგარ სიმღერასა და კლიპს შემოგვთავაზებს.

**reitingi.ge**

## „წიგნი, რომელიც ბაჩო ახალაიამ ტყვეობაში დაწერა“

როგორც თავდაცვის ყოფილი მინისტრის მეუღლე ანი ნადარეიშვილი სოციალურ ქსელში წერს, ბაჩო ახალაიას დაწერილი წიგნი მალე დაიბეჭდება.





– წიგნი, რომელიც მალე დაიბეჭდება, წიგნი – რომელიც ბაჩო ახალაიამ ტყვეობაში დაწერა, – წერს ნადარეიშვილი.

**pia.ge**

## გია ფერაძის ვაჟი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიიწვიეს



ამის შესახებ გიას ბიძისგან, ილიკო ფერაძისგან გახდა ცნობილი. გია ფერაძე-კუზუბოვი სამარაში ცხოვრობს, მსახიობია, აქვს იუმორის გრძნობა და რაც მთავარია – მამის ორეულია.

– გიამ თანხმობა უთხრა შოუს პროდიუსერს. ვფიქრობ, მისი, როგორც გია ფერაძის შვილის მონაწილეობით, შოუც რეიტინგული გამოვა. თეატრს თავს ანებებს და სამარადან მოსკოვში, მიხალკოვის კინომსახიობთა აკადემიაში მიდის სასწავლებლად. ვურჩიე, კინოს უფრო სერიოზულად მიუდგეს. შემოთავაზება აქვს სატელევიზიო სერიალებიდან. ვნახოთ, რა გამოვა, – აცხადებს ილიკო ფერაძე.

**primetimenews.ge**

## „კაზანტიპის“ რა საოცრებაზე წერს გიორგი სიგუა?





ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი განმუხურის პლაჟიდან ცაში აჭრილ „ოცნებებზე“ სოციალურ ქსელში წერს.

– ამ ბუშტებზე სურვილებია დაწერილი, ათასობით მათგანი განმუხურის პლაჟიდან ცაში აიჭრა, ოღონდ მანამდე ზოგმა ფლომასტერით და ზოგმა რით საკუთარი ოცნება ჩაუთქვა, ოცნება, რომელიც აუცილებლად სრულდება ხოლმე... მოხდა საოცრება – თითქმის ყველას სანუკვარი სურვილი ერთმანეთს დაემთხვა: ჩვენ ანაკლიაში დაბრუნება გვინდა გაისად, – წერს სიგუა „ფეისბუკზე“.

**pia.ge**

## მაკა ძაგანია „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ წასვლაზე – „ეს საქართველოა, სადაც სტაბილური არაფერია“



მსახიობის თქმით, თინა მისი შექმნილი გმირია, უყვარს და მასზე გული ძალიან დასწყდება.

– შეკრება არ გვქონია, არ გვისაუბრია. არ ვიცი, რა იგეგმება. მე მათ გადაწყვეტილებაში არ ვერევი, აზრსაც არავინ მეკითხება, თუ აწყობთ ეგრე, იქნება ეგრე. უნდა ითქვას – პროექტი სამ წელიწადს გაგრძელდება, იმის მერე, რაც გინდათ ის ქენითო. მხოლოდ ამ სერიალზე არ ვსაუბრობ. სხვა არის, როდესაც კონკრეტულ ხელშეკრულებაზე აწერ ხელს და არ იცი – რამდენი სეზონი იქნება სერიალი, მსგავს კონტრაქტს ვერც გააკეთებ. აქ არც პროდიუსერის და არც მსახიობის ბრალი არ არის, ეს, უბრალოდ, საქართველოა, სადაც სტაბილური არაფერია. თინას გმირზე გული დამწყდება, ჩემი შექმნილი გმირია და ძალიან მიყვარს. მაგრამ ტრაგედია არც ეს არის, – აცხადებს ძაგანია.

**primetimenews.ge**

## ნუკა კვალიაშვილი: „ვაი, იმათ, ვინც ჩემს გაჩერებას შეეცდება, გადაგივლით თავზე ნებისმიერს...“



მომღერალი ნუკა კვალიაშვილი სოციალურ ქსელში მუქარის შემცველ პოსტს აქვეყნებს და საკუთარ გულშემატკივრებს უცნაურად მიმართავს.

– უმაგრესი შვილი მყავს, უმაგრესი ქმარი მყავს, უმაგრესი დედა მყავს, უმაგრესი მეგობრები მყავს, უმაგრესი და რაც მთავარია, გემოვნებიანი გულშემატკივრები მყავს. ამაზე მაგარი რა არის?! ახლა მხოლოდ საქმის კეთება დამრჩა და ფსიხი კარიერის აწყობა რაც, დავიწყე და ვაი, იმათ, ვინც ჩემს გაჩერებას შეეცდება, გადაგივლით თავზე ნებისმიერს. ჩემო გულშემატკივრებო, მიყვარხართ, გაფასებთ, პატივს გცემთ და მადლობელი ვარ!!! თქვენი ნუკა, – წერს კვალიაშვილი „ფეისბუკის“ გვერდზე.

**pia.ge**

## როგორ აღმოჩნდა ვანო იანტბელიძე ლონდონში გეიაღლუმზე



ვანო იანტბელიძის თქმით, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებზე აგრესია სისულელეა.

– არატრადიციული ყველაფერი პათოლოგიაა, მაგრამ აგრესია მათ მიმართ დიდი სისულელეა. ლონდონში ვიყავი გადაღებაზე და მიმიწევს დიდ, 20-ათასიან გეიაღლუმზე, შემდეგ დამაყარეს კითხვები, გეიაღლუმზე დაგინახეთ და რა აზრის ხართო. რა აზრის უნდა ვიყო? გადახრა და არატრადიციული ორიენტაცია ყოველთვის იყო, არის და იქნება, არ ვემხრობი ამას, აგრესია არაა სწორი. სუფრასთანაც ვყოფილვარ ასეთ ადამიანებთან, ვიცნობ კიდეც, მაგრამ ჩემთვის მისაღები და ნორმალურია, რომ კაცმა ქალი უნდა შეირთოს ცოლად, უნდა გამრავლდნენ და შვილები უნდა გაზარდონ, – აცხადებს იანტბელიძე.

**reitingi.ge**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ჰაა, დროზე, ფული!
– შენ რა, დანა გიჭირავს?!
– თქვენ!
– რა თქვენ?
– შენ რა, არ იცი, რომ ვისაც დანა უჭირავს, თქვენობით უნდა მიმართო?! დროზე, ფული-მეთქი!!!

*****

– ქმარი კარტოფილზე გავაგზავნე და მანქანამ გაიტანა!
– ღმერთო, რა საშინელებაა! ახლა როგორ უნდა მოიქცე?
– რა ვიცი, ავდგები და ბრინჯს მოვხარშავ...

*****

პროდუქტების მაღაზიაში:
– ყველი „როკფორი“ გაქვთ?
– ეგ რაღაა?
– ობიანი ყველი.
– ყველი არა, მაგრამ გვაქვს ძეხვი „როკფორი“, სოსისი „როკფორი“, თევზი „როკფორი“...

*****

– სნიკერსი გასინჯული გაქვს?
– კი, ძალიან მაგარია!
– და მარსი?
– კი, მარსიც ძალიან მომეწონა!
– ტამპაქსიც გასინჯე?
– არა, ეგ არ ვიცი...
– ჰოდა, პირი არ დააკარო, ცარიელი ბამბაა!..

*****

– მივმართავ იმ ქალებს, რომლებიც სულ გაიძახიან: „ყველა კაცი ერთნაირია“... პატიოსნად რომ მოქცეულიყავით, ყველა კაცის ამბავი არ გეცოდინებოდათ!..

*****

– როგორი საყვარელია! დედალი კატაა თუ მამალი?
– და ყურებით ვერ ცნობთ?
– ვერა.
– კურდღელია...

*****



ჩებურაშკა და გენა სეირნობენ.
– ვაა, ჩებურაშკა, დაინახე, რა მაგარმა ქალმა ჩაგვიარა?
– კარგი, რა, გენა, ვერ შეხედე, სუფთა ნიანგს რომ ჰგავდა?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## დასასვენებელ პარკში „შიპებიანი“ სკამები დადგეს



ჰომოსექსუალი მოწყენილი ჩაილაპარაკებს: „ერთი წვეტიანი ქვა არსად გდია, რომ ნორმალურად დავისვენო“...

ცნობილი ხდება, რომ ჩინეთის პროვინცია შანდუნის ხელისუფლებამ დასასვენებელ პარკებში წვეტიანი სკამები ხალხმრავლობის პრობლემის მოსაგვარებლად დაამონტაჟა.

იქაური მედიის ინფორმაციით, „შიპებიანი“ სკამები შემდეგი პრინციპით მუშაობს: პარკში მოსეირნე ადამიანი მასზე ჩამოჯდომას მხოლოდ მას შემდეგ შეძლებს, რაც სპეციალურ ავტომატში მონეტას ჩააგდებს – გადახდის შემდეგ, სკამზე დამაგრებული მოძრავი წვეტები წამიერად ქრება, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კი კვლავ საწყის მდგომარეობას უბრუნდება.

პარკის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სკამების წვეტები არც ისე წამახვილებულია და შესაბამისად, ადამიანისთვის ზიანის მიყენება არ შეუძლია, თუმცა მასზე ჯდომა ძალიან არაკომფორტულია.

– გვსურს, რომ პარკის სტუმრებმა თავი კომფორტულად იგრძნონ და დაღლის შემთხვევაში, სკამზე ჩამოჯდომა შეძლონ. ასეთ რადიკალურ ზომებს კი იმის გამო მივმართეთ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სკამებს დილიდან იკავებენ და დაღამებამდე იქიდან ფეხს არ იცვლიან, – ასე ხსნიან თავიანთ ტარტაროზულ საქციელს ჩინური პარკის მესვეურები.

დიდი ეჭვი გვაქვს, ამიერიდან „შიპებიანი“ სკამებიდან ჩინელებს ჰომოსექსუალების წამოგდების პრობლემის მოგვარებაც მოუწევთ, თუმცა ვინც ძაღლი მოკლა, იმანვე უნდა გადაათრიოს.

და კიდევ ერთი – იმედი გვაქვს, სკამზე ჩამომჯდარ მოხუცებს უცბად არ ჩასთვლემთ, თორემ ჩინური ჟღერადობის უსიამოვნება – „ტაკოში ვავა“ ნამდვილად არ ასცდებათ.

***rokf.ru***

## ტუალეტში შესასწრებად, პროკურორმა ადვოკატს ცხვირზე უკბინა




კიდევ კარგი, ინციდენტი დერეფანში მოხდა და ადვოკატს „საქმე“ ჯერ დაწყებული არ ჰქონდა, თორემ, შესაძლოა, პროკურორს მისთვის უფრო მნიშვნელოვანი ორგანოც დაეზიანებინა.

ეს კურიოზული შემთხვევა ამერიკული ტენესის შტატის ქალაქ მემფისში მოხდა, რომელსაც ამ დროისთვის სასამართლო განიხილავს და შესაძლოა, დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილება პროკურორს 5 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდეს.

ადვოკატის მტკიცებით, პროკურორი თავს ტუალეტში შესვლის დროს დაესხა, თუმცა იმის გამო, რომ გვერდზე გაგდება და ოთახში შესვლა მაინც ვერ შეძლო, ცხვირზე უკბინა და მარცხენა ნესტოს მოზრდილი ნაწილი მოაჭამა კიდეც.

თავის მხრივ, პროკურორი თავს იმართლებს, ასე სასტიკად რომ არ მოვქცეულიყავი, თავი მომეჭრებოდა სოფელ-ქვეყანაზე და პირდაპირ შარვალში მოვისაქმებდიო.

– ძალიან ვწუხვარ, რომ პატივცემულ ადვოკატს ჩემ გამო ასეთი უსიამოვნებები შეხვდა, მაგრამ დამიჯერეთ, თავს ვერ ვაკონტროლებდი, – აი, ასეთი ჩვენება მისცა პროკურორმა სასამართლოს, თუმცა დაიჯერებენ თუ არა ნაფიცი მსაჯულები მის სიტყვებს, ეს უახლოეს დღეებში, მისთვის განაჩენის გამოტანის შემდეგ გაირკვევა.

***etotupo.ru***

## ძებნაშია გოგონა, რომელიც მამაკაცებს ფეხებშუა ურტყამს



არსებობენ, მაგალითად, ახალგაზრდა და ლამაზ ქალებზე, მარტოხელა მოხუცებზე ან მეძავეებზე მონადირე მანიაკები, მაგრამ მამაკაცის კვერცხებზეც თუ შეიძლებოდა მოძალადეს არჩევანი გაეკეთებინა, ახლახან გავიგეთ და თქვენთვისაც რომ არ მოგვეყოლა, ძვირფასო მკითხველო, გული არ მოგვითმენდა.

ეს ტრაგიკომიკური ამბავი კვლავაც ამერიკიდან ვრცელდება – ვაშინგტონის ქუჩებში 20-დან 25 წლამდე ახალგაზრდა ქალი დაძრწის, რომელიც პირველივე შანსს იყენებს და მამაკაცებს ფეხებშუა მთელი ძალით წიხლს ურტყამს.

ცნობილი ხდება, რომ იქაური პოლიციის განყოფილებები საჩივრებით პირთამდე აივსო – დაზარალებული მამაკაცები შველას სამართალდამცველებს სთხოვენ, რადგან თავად თავდამსხმელის დაკავებისას ხელი მოეცარათ.

ამ დროისთვის მამაკაცების კვერცხებზე მონადირის სულელურ გამოხტომებს უკვე სერიოზული ტრაგედიაც მოჰყვა – 22 წლის ენტონი კლარკს მან ისეთი ძალით ამოსცხო წიხლი უადგილო ადგილას, რომ მას სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა, რომლის დროსაც ქირურგებმა ერთი კვერცხი მთლიანად მოჰკვეთეს.

ამერიკელ პოლიციელებს მოძალადის ფოტორობოტი უკვე ხელთ აქვთ და მის ძებნასაც გამალებით შეუდგნენ. ბოლოს და ბოლოს, ხუმრობა საქმე ხომ არ არის – მამაკაცური ღირსების შეურაცხყოფას აქვს ადგილი,?!

***liveinternet.ru***

## კიბო მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებულ დაავადებად აღიარეს



ამერიკის კიბოსთან ბრძოლის საზოგადოების მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად, ცნობილი ხდება, რომ ონკოლოგიური დაავადებები პირველია მსოფლიოში არა მხოლოდ სიკვდილიანობის მიხედვით, არამედ, ასევე პირველ ადგილს იკავებს მატერიალური ზიანის მოტანის მხრივაც. მართლაც, კიბოთი დაავადებული პაციენტების მკურნალობას უზარმაზარი თანხები სჭირდება და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ხშირ შემთხვევაში, სასურველი შედეგის მიღება ვერ ხერხდება.

ყველაზე ძვირადღირებული დაავადებების სიაში მომდევნო ადგილები გადაინაწილეს: შიდსმა, მალარიამ, გრიპმა და ასე შემდეგ.

ქრონიკულ დაავადებებზე, მათ შორის, კიბოზე, გულ-სისხლძარღვთა უკმარისობებსა და დიაბეტზე, მსოფლიოში სიკვდილიანობის 60 პროცენტი მოდის, თუმცა მათ დასამარცხებლად სახელმწიფო და კერძო სახსრების მხოლოდ 3 პროცენტი იხარჯება. გამოდის, რომ მსოფლიო ამ საკმაოდ საშიშ დაავადებებს საჭირო ყურადღებას არ უთმობს, რაც უარყოფითად ისევ ეკონომიკაზე აისახება. მაგალითად, 2008 წელს მხოლოდ კიბოთი გარდაცვლილი ადამიანების გამო, მსოფლიოს ზარალმა 895 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. საინტერესოა, რომ აღნიშნულ თანხაში მკურნალობის ხარჯები გათვალისწინებული არ არის. 895 მილიარდი აშშ დოლარი კი მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 1,5 პროცენტის ეკვივალენტურია. ანუ, სახელმწიფოების წინდაუხედაობასა და დაავადებების დასამარცხებლად თანხების გამოყოფაზე უარის თქმას, გაცილებით დიდი დანაკარგები მოსდევს არა მხოლოდ ადამიანური რესურსის, არამედ ფინანსური თვალსაზრისითაც.

***medkarta.ru***

## ფსორიაზს თვითმკვლელობის პროვოცირება შეუძლია?



რამდენად შეიძლება დაჯერება, რთული სათქმელია, თუმცა ის კი შეგვიძლია გითხრათ, რომ შემაძრწუნებელი დასკვნა ამერიკელ მეცნიერებს ეკუთვნით. ისინი მიიჩნევენ, რომ ფსორიაზი არა მხოლოდ კანის დაავადება, არამედ, დეპრესიის, სულიერი მღელვარებისა და სუიციდური აზრების პროვოკატორიც კია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამერიკელმა სწავლულებმა მასშტაბური გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა – როგორც ფსორიაზით დაავადებულებმა, ისე სრულიად ჯანმრთელებმა.

აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური აშლილობები გაცილებით ხშირად სწორედ დაავადებულებში ფიქსირდება, ვიდრე ჯანმრთელებში.

100 დაავადებულიდან „ღრმა დეპრესიის“ დიაგნოზი 26 პაციენტს დაესვა, 21-ს „მუდმივი მღელვარება“, 3-4 კი თვითმკვლელობისკენ მიდრეკილი აღმოჩნდა და ეს ყველაფერი მხოლოდ კანის დაავადების გამო.

***myjane.ru***

## გენეტიკოსებმა ფორთოხლის გემოს მქონე ვაშლი გამოიყვანეს



უფრო რომ დავაზუსტოთ, ახალზელანდიელმა მეცნიერებმა გამოიყვანეს გენეტიკურად მოდიფიცირებული უნივერსალური მცენარეები, რომლებსაც შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ხილის გემო და თვისებები ჰქონდეს.

„ვიტამინის კალათა“ – სწორედ ასეთი სახელწოდება მიიღო მართლაც საოცარმა გამოგონებამ. კერძოდ, ახალზელანდიელმა გენეტიკოსებმა შეძლეს მცენარის მიღება, რომელსაც აქვს ვაშლის ფორმა და კონსისტენცია, გემოთი მოცხარს მოგაგონებთ, კანით კი ფორთოხალს ჩამოჰგავს.

– ყოველ ხილში ვხვდებით ერთ მოლეკულას, რომელიც სინამდვილეში მცენარის გენი გახლავთ. თუკი მას სხვა ხილში გადავიტანთ, გენი მის ცილას შეერევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალ წიაღს ახალი თვისებებით გაამდიდრებს, – განმარტავს უჩვეულო გენეტიკური პროექტის ხელმძღვანელი, როჟე ჰელენსი.

ჯერჯერობით ახალზელანდიელების მიერ გამოყვანილი უნივერსალური ხილი არ იყიდება, რადგან პირველი მოსავალი გენეტიკოსებმა საცდელად და ექსპერიმენტებისთვის გამოიყენეს, თუმცა მომდევნო წელს შესაძლოა ბაზარში გასულებმა მართლაც იხილოთ ზღმარტლი, რომელსაც, ვთქვათ, ალუჩის გემო ექნება, კანი კი – კარალიოკის, ან მოხარშული წაბლის...

***kazakh-zerno.kz***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. რეჟისორი კოტე ...
2. ძაღლის ჯიში
3. კონან დოილი. „... ძაღლი“
4. ოჯახის ქალი ძველ რომში
5. ... მკერდში ორი გულია
6. მწვანე მინერალი
7. ქალაქი გერმანიაში
8. თევზის ჯიში
9. საშხაპე ოთახი
10. რგოლებიანი პლანეტა
11. ცხიმოვანი სიმსივნე
12. მკვეხარა
13. წამლების მაღაზია
14. მდინარე საფრანგეთში
15. მსაჯი
16. მღრღნელი ცხოველი
17. მდინარე კახეთში
18. ნუშის ლიქიორი
19. იაპონური ჭადრაკი
20. ქალაქი ყირიმზე
21. ოთხკუთხედში გავლებული ხაზი
22. „... ხარ ვენახი“
23. ალბანეთის დედაქალაქი
24. სასწორის ჯამი
25. ქალაქი აფხაზეთში
26. მწერალი ... ჩუკოვსკი
27. კავშირებითი სიტყვა
28. აეროპორტი კიევში
29. ჯეიმს ბარი. „... პენი“
30. ოქროს ძაფი
31. გურული მრავალხმიანი სიმღერა
32. ღვინის დეგუსტატორი
33. ცხენის რძის სასმელი
34. გერმანიის დედაქალაქი
35. მსახიობი ... სარალიძე
36. ჯუჯა ადამიანი
37. მომღერალი ... ჯაგერი
38. მიმიკის უქონლობა
39. მოსაწევად დახვეული თამბაქო
40. მთიდან არეკლილი ხმა
41. მსახიობების შერჩევა
42. მოგზაური ...-მაკლაი
43. ტაძარი ქუთაისში
44. იაპონური თაიგული
45. კუნძული იაპონიაში
46. ხორცის კერძი
47. საკანი
48. საველე სავადმყოფო
49. პოეტი ... მიცკევიჩი
50. მსახიობი ... კრუზი
51. ესკიმოსების ნავი
52. იგავი
53. მსახ. ... ბეგალიშვილი
54. რეჟისორი ... საურა
55. იგავური თხრობის ფორმა
56. მწერალი ემილ ...
57. სპორტ. ინვენტ. ფირმა
58. თურქეთის დედაქალაქი
59. პომიდვრის ნერგი
60. ქალაქი აშშ-ში
61. მხატვარი ... მალევიჩი
62. ყუთი საქონლის საკვებისათვის
63. ჭრილობა
63ა. შტატი აშშ-ში
64. მუსიკ. ინტერვალი
65. მსახიობი ... ქლოუზი
66. ცხვირის პლასტიკ. ოპერაცია
67. ქალაქი ბელარუსში
68. მოგზაურობა გემით
69. ფიგურა ვიტრინაში
70. რბილი ადგილი ჩვილის თავზე
71. მწვადის შესაწვავი ღუმელი
72. „... ჩამოვიდნენ მთიდან“
73. სიჩქარის საზომი ხელსაწყო
74. დაჭრილი კიტრი და პომიდორი
75. მსახიობი ...-ჯესიკა პარკერი
76. ამერიკელი მომღერალი ქალი
77. კუნძული, სადაც ალექსანდრიის შუქურა იდგა
78. მსახიობი ბრედ ...
79. რუმინული ფულის ერთეული
80. რეჟისორი ელდარ ...
81. ტალახი
82. ჯგუფის მოწინავე ადამიანი
83. ტროპიკული ბუზი
84. ნადირობის ქალღმერთი
85. დეტექტივი შერლოკ ...
86. ... ურჩევნია მამულსა
87. მხ/ფ „... კონგენიალურობა“
88. რძის პროდუქტი
89. ექსპრეზიდენტი რონალდ ...
90. საწვიმარი მოსასხამი
91. მეხსიგან დამცავი ძელი
92. ბირმის დღევანდელი სახელწოდება
93. გლაზგოს საფეხბ. გუნდი
94. კიპლინგის მოთხრობა
95. სტადიონი ერევანში
96. მსახიობი ... პაჩინო
97. „ბითლზი“ ჯონ ...
98. რობინ ... ფილმში „მისის დაუტფაიერი“
99. თვითმფრინავების სადგომი
100. ქალაქი ქვემო ქართლში
101. საქონლის ჯოგი
102. ის, ვისაც წერილს უგზავნიან
103. კიანუ რივზი ფილმში
104. მოკრივე ... მარჩიანო
105. აქ მუშაობს კლოუნი
106. ინერტული აირი
107. მსახიობი ბრიუს ...
108. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
109. შვედური ავტომობილი
110. ისტორიული შუამდინარეთი
111. თეატრალ. ხელოვნ. ჟანრი
112. რეჟისორი ... ჩოხელი
113. მდინარე კოლორადოს ხეობა
114. მზის ღმერთი ეგვიპტეში
115. პალმის ნაყოფი
116. კომპოზიტორი ... ყანჩელი
117. სამხედრო წოდება
118. ღმერთი სკანდინ. მითებში
119. ... ფერსა, მადლი ღმერთსა
120. დამუხტული ნაწილაკი
121. მტაცებელი ფრინველი
122. მსახიობი ... კროუ
123. ვულკანური მასა
124. ბრიუს უილისი ფილმში
125. მორზეს ანბანის ნიშანი
126. ძაღლის ჯიში
127. მსახიობი ... ლონგორია
128. მსახიობი ... როკი
129. იტალიის დედაქალაქი
130. ორელექტროდიანი მილაკი
131. მსახიობი ოსვალდო ...
132. მდინარე პარიზში
133. ნაჭრის ჭურჭელი
134. იუმორისტი ... არაბიძე
135. სოფელი რაჭაში
136. ბგერის გრაფიკ. გამოსახ.
137. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
138. იაპონური მულტიპლიკაცია
139. ... სუხიშვილი
140. მსახიობი ... მონტანი

პასუხები: 1. მარჯანიშვილი; 2. დალმატინელი; 3. ბასკერვილების; 4. მატრონა; 5. ამ; 6. მალაქიტი; 7. ლაიფციგი; 8. ქარიყლაპია; 9. აბაზანა; 10. სატურნი; 11. თია; 12. ბაქია; 13. აფთიაქი; 14. რონა; 15. არბიტრი; 16. ციყვი; 17. იორი; 18. ამარეტო; 19. გო; 20. იალტა; 21. დიაგონალი; 22. შენ; 23. ტირანა; 24. პინა; 25. გაგრა; 26. კორნეი; 27. რომ; 28. ბორისპოლი; 29. პიტერ; 30. სირმა; 31. კრიმანჭული; 32. სომელიე; 33. კუმისი; 34. ბერლინი; 35. ტრისტან; 36. ქონდრისკაცი; 37. მიკ; 38. ამიმია; 39. სიგარა; 40. ექო; 41. კასტინგი; 42. მიკლუხო; 43. ბაგრატი; 44. იკებანა; 45. ოკინავა; 46. სოუსი; 47. დილეგი; 48. ლაზარეთი; 49. ადამ; 50. ტომ; 51. უმიაკი; 52. არაკი; 53. ბადრი; 54. კარლოს; 55. ალეგორია; 56. ზოლა; 57. „ნაიკი“; 58. ანკარა; 59. ჩითილი; 60. ნიუ-იორკი; 61. კაზიმირ; 62. ბაგა; 63. იარა; 63ა. ინდიანა; 64. კვარტა; 65. გლენ; 66. რინოპლასტიკა; 67. ბრესტი; 68. კრუიზი; 69. მანეკენი; 70. ყიფლიბანდი; 71. მაყალი; 72. ისინი; 73. სპიდომეტრი; 74. სალათი; 75. სარა; 76. ენია; 77. ფაროსი; 78. პიტი; 79. ლეი; 80. რიაზანოვი; 81. ლაფი; 82. ლიდერი; 83. ცეცე; 84. დიანა; 85. ჰოლმსი; 86. ის; 87. მის; 88. მაწონი; 89. რეიგანი; 90. ლაბადა; 91. მეხამრიდი; 92. მიანმა; 93. „სელტიკი“; 94. „მაუგლი“; 95. რაზდანი; 96. ალ; 97. ლენონი; 98. უილიამსი; 99. ანგარი; 100. მარნეული; 101. ნახირი; 102. ადრესატი; 103. „მატრიცა“; 104. როკი; 105. ცირკი; 106. არგონი; 107. ლი; 108. ნიკარაგუა; 109. „ვოლვო“; 110. მესოპოტამია; 111. ოპერეტა; 112. გოდერძი; 113. კანიონი; 114. რა; 115. ფინიკი; 116. გია; 117. მაიორი; 118. ოდინი; 119. ფერი; 120. იონი; 121. მიმინო; 122. რასელ; 123. ლავა; 124. „არმაგედონი“; 125. ტირე; 126. პოინტერი; 127. ევა; 128. კრის; 129. რომი; 130. დიოდი; 131. რიოსი; 132. სენა; 133. ტომარა; 134. ნიკა; 135. ირი; 136. ასო; 137. ინდიგო; 138. ანიმე; 139. ილიკო; 140. ივ. იკითხება: ჯიმ კერი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ბიოსაწვავისთვის შოტლანდიელები ვისკის გამოიყენებენ



უფრო რომ დავაზუსტოთ, საუბარია ნივთიერებაზე, რომელიც ვისკის მომზადების შემდეგ რჩება და ჩვეულებრივ, უტილიზაციას ექვემდებარება.

ჰოდა, სწორედ ვისკის ნარჩენების გამოყენებით შეძლეს შოტლანდიელმა მეცნიერებმა ბიოსაწვავის მიღება, რადგან ნივთიერება სავსებით პასუხობს ყველა მოთხოვნას, რომელიც საწვავის გამომუშავებისთვისაა საჭირო. კერძოდ, ნარჩენებში შედის ბუტანოლი, სპირტის ფორმა, რომლის გამოყენებაც ეტანოლის მსგავსად შეიძლება.

საინტერესოა, რომ შოტლანდიელი მეცნიერების მიერ გამოგონილ ბიოსაწვავს კონკურენტებთან შედარებით გაცილებით მეტი პრივილეგია აქვს, რადგან ეკოლოგიურობის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო სრულყოფილია. გარდა ამისა, ეტანოლთან შედარებით, 25 პროცენტით მეტი ენერგიის გამომუშავებაც შეუძლია.

რამდენად ძვირადღირებულია ახალი ტექნოლოგია და შეიძლება თუ არა ველოდოთ ვისკისგან დამზადებული საწვავის ფართო მოხმარებაში გაშვებას, ჯერჯერობით რთული სათქმელია.

*apinews.ru*

## ხალები ორგანიზმის დაბერების პროცესს აფერხებს?



ზოგი სხვისი ხალის ადგილმდებარეობის ცოდნის გამო ტრაბახობს, ზოგს კომპლექსებიც კი აქვს ხალების რაოდენობის გამო, მაგრამ მას შემდეგ, რაც შოტლანდიელი მეცნიერების კვლევის შედეგებს გავეცანით, იცით, რა ვიფიქრეთ? ჯერ ერთი, რომ ყველამ თავისი მამიდის ხალებს მიხედოს და მეორე – ბევრი ხალი სასირცხვილო კი არა, სასიხარულო ყოფილა, თანაც, ძალიან სასიხარულო! არ გჯერათ? მაშინ თავად მკვლევარების აზრს გაგაცნობთ:

– ხალების რაოდენობის მიხედვით შეიძლება იმის განსაზღვრა, რამდენად სწრაფად მიმდინარეობს დაბერების პროცესი ადამიანის ორგანიზმში, – ამტკიცებენ შოტლანდიელი სწავლულები.

ცნობილი ხდება, რომ ექსპერტებმა დაბერების პროცესზე პასუხისმგებელი დეენემის მონაკვეთებისა და სხეულზე ხალების რაოდენობის შეფარდებით მათ შორის კავშირის დადგენა შეძლეს.



კვლევამ, რომელშიც 1800-მა ტყუპმა მიიღო მონაწილეობა, აჩვენა, რომ, რაც უფრო ბევრი ხალი აქვს ადამიანს, მით უფრო კარგად არის დაცული მისი სიბერის დეენემი.

საინტერესოა ისიც, რომ ხალების სიმრავლეს მნიშვნელობა თვით ტყუპისცალებს შორისაც კი ჰქონია.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მიღებულმა დასკვნებმა თავად შოტლანდიელი მეცნიერებიც გააკვირვა, რადგან დღემდე გავრცელებული მოსაზრებით, ხალები მელანომის განვითარების რისკს მნიშვნელოვნად ზრდიდა და კანის კიბოს რთულ ფორმებს იწვევდა.

დამატებითი განმარტებისთვის გეტყვით იმასაც, რომ, როგორც წესი, ხალები ბავშვობაში ჩნდება და ასაკის მატებასთან ერთად, შესაძლოა, მათი დიდი ნაწილი გაქრეს. საშუალოდ, ადამიანის სხეულზე 30-მდე თანდაყოლილი ხალის დათვლა შეიძლება, ზოგ შემთხვევაში კი ეს ციფრი 400-მდეც აღწევს.

შოტლანდიელი მეცნიერების თქმით, 30 და 100 ხალის მფლობელი რომ შევადაროთ, მათ შორის ბიოლოგიური ასაკის სხვაობა 6-7 წელია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*woman.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**3 სექტემბერი:** საკმაოდ უსიამოვნო პერსპექტივა გელით. მთელი დღე აუტანელი პერსონების მოგერიება მოგიწევთ, საღამოს კი შეიძლება ისეთი ადამიანის კამპანიაში აღმოჩნდეთ, რომელიც ძალიან გაღიზიანებთ.

**კურო 22.04-21.05**
**3 სექტემბერი:** დღეს საკმაოდ გაწონასწორებული და გარშემომყოფთა მიმართ კეთილგანწყობილი იქნებით. სასურველია, თუკი ამაზე ხმამაღლა არ ილაპარაკებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**3 სექტემბერი:** თქვენი კეთილმოსურნეებისთვის მადლობის გადახდის საშუალება მოგეცემათ. საქმე, რომელიც დიდი ხანია გადადებული გაქვთ, თავისით დაიწყება.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**3 სექტემბერი:** არ გაგიკვირდეთ, თუკი დღეს აუსრულებელი ოცნებების ახდენა დაიწყება. მთავარია, თავად მოიმოქმედოთ ისეთი რამ, რაც ამას ხელს შეუშლის.

**ლომი 23.07-22.08**
**3 სექტემბერი:** წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ მოვალეობებს სწორად გადაანაწილებთ. როგორც ჩანს, კოორდინატორის როლი თქვენ უნდა იტვირთოთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**3 სექტემბერი:** შეეცადეთ, საკუთარი სულიერების გამდიდრებაზე იფიქროთ. დღეს ამაზე უკეთესი შეიძლება ვერაფერი გააკეთოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**3 სექტემბერი:** დიდი ალბათობით, დღეს ძალიან მოუთმენელი იქნებით. იქნებ მოიფიქროთ რამე ფორმა, რომ ეს თქვენს სასარგებლოდ გამოიყენოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**3 სექტემბერი:** დიდი ყურადღება გმართებთ. პირად ურთიერთობებში წარმოქმნილი მცირე გაუგებრობაც კი, უყურადღებოდ არ დატოვოთ. ნუ ჩათვლით, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**3 სექტემბერი:** აზარტული თამაშებისკენ იქნებით მიდრეკილი. პრინციპში, ამ სურვილის ასრულება შესაძლებელია, რადგან წამგებიან პოზიციაში იქნებით თუ მომგებიანში, გეცოდინებათ, როდის გაჩერდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**3 სექტემბერი:** დღეს შეიძლება თქვენს შეცდომებს ჩასწვდეთ, მაგრამ მათი გამოსწორების გზების პოვნა ადვილი არ იქნება. სერიოზული ფიქრი მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**3 სექტემბერი:** უპრობლემოდ შეძლებთ ნებისმიერ კოლექტივზე გავლენის მოხდენას და ნებისმიერ საქმიანობასთან მიერთებას. თუმცა, რაიმეს ინიციატორობას ვერ მოახერხებთ.

**თევზები 19.02-20.03**
**3 სექტემბერი:** დღეს ვინმესთან ურთიერთთანამშრომლობით უფრო მეტს მოიგებთ, ვიდრე წააგებთ. ნუ ჩაიკეტებით საკუთარ ნაჭუჭში და მარტო ნუ დაიწყებთ საქმის კეთებას.

## ავსტრალიაში აკვამაცია — მიცვალებულების წყალში „დასაფლავება“ მოიგონეს



მსოფლიოს გარკვეული ნაწილი მიცვალებულების დაკრძალვის ახალ-ახალი მეთოდების გამოგონებას ცდილობს. მათი მიწისთვის მიბარება აქტუალური აღარ არის, რადგან ადგილია ძალიან შემცირებული. კრემაციაც ველარ ყოფილა ისეთი პოპულარული, ნამწვი კლიმატის ცვლილებებზე მოქმედებსო და... ჰოდა, დარჩა მესამე და უკანასკნელი სტიქია – წყალი. დიახ, სწორედ წყლის დახმარებით ცდილობენ გარდაცვლილთა ცხედრების უტილიზაციას.

როგორც ირკვევა, აკვამაციის (მეთოდის მსგავსად, ალბათ, სიტყვაც ახლად გამოგონილია) ინიციატორი ვინმე ჯონ ჰამფრისია, ავსტრალიის მოქალაქე და აი, რას სთავაზობს ის თანამედროვე მსოფლიოს:

მიცვალებულთა ცხედრები უნდა მოთავსდეს ლითონის მოზრდილ ცილინდრებში, შემდეგ მაღალ ტემპერატურაზე 4 საათის განმავლობაში მოიხარშოს (ძალიან შეუსაბამო სიტყვაა, მაგრამ ასეთია ჰამფრისის იდეა და...), რასაც ხორცის მთლიანად აორთქლება მოჰყვება, დარჩენილი ძვლები კი მიწაში დიდ ადგილს აღარ დაიკავებს.

რამდენად მოიწონეს ავსტრალიელებმა ჯონ ჰამფრისის ინიციატივა, აზრზე არ ვართ და დიდად, ალბათ, არც თქვენ გაინტერესებთ, რადგან კრემაციასთან შედარებით, ეს მეთოდი გაცილებით საზიზღარი და ამაზრზენია. ბოლოს და ბოლოს, ხალადეცის მასალა ხომ არ არის ადამიანი, არა?!

*mosritual.ru*

## უნიკალური ოპერაცია — პაციენტს კუჭი პირიდან ამოაჭრეს



მსოფლიოში პირველად ამერიკელმა ქირურგებმა ჩაატარეს კუჭის ამოკვეთის ოპერაცია, რომელსაც, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში უნიკალური უწოდეს.

მართლაც, ხუმრობა საქმე ხომ არ არის პაციენტისთვის კუჭის ისე ამოკვეთა, რომ მის მუცელზე პრაქტიკულად, ერთი ნაიარევიც კი არ დარჩენილა – მას ოპერაცია პირის ღრუდან ჩაუტარდა.

ამერიკული მედიის ინფორმაციით, პაციენტს, რომლის ვინაობაც არ ზუსტდება და რომელიც ჭარბი წონის პრობლემით იტანჯებოდა, ქირურგებმა კუჭის დაახლოებით 20 პროცენტი ამოკვეთეს.

ასევე, ცნობილია ისიც, რომ მუცელზე სპეციალისტებმა მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო კვეთა გააკეთეს, რათა იქიდან კამერები შეეშვათ და მუშაობა გაადვილებოდათ.

ასეთი უცნაური ოპერაცია ლაპაროსკოპიული ქირურგიის უკანასკნელი მიღწევების დახმარებით ჩატარდა, რომლის შედეგითაც სპეციალისტები უსაზღვროდ კმაყოფილები არიან.

– მომავალში ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ბევრ პაციენტს მივცეთ იმის შესაძლებლობა, რომ ოპერაცია ნაიარევების გარეშე ჩაიტარონ, – განმარტავენ ამერიკელი ქირურგები.

*vsesmi.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



– კოტე, თუ იცი შენ, რატომ აქვს სპილოს წითელი თვალები?
– იმიტომ, რომ პომიდვრებში დამალვა უკეთ მოახერხოს!
– რა სისულელეა?!
– აბა, გინახავს შენ სპილო, რომელიც პომიდვრებში იმალება?!
– არა!
– ვერც დაინახავ – კარგად იმალება და იმიტომ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია 211359457 კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა–49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.58